მუხლი: {ფს. 35.6.} „უფალო, ზეცას არს წყალობა შენი.“

დიდება და ანდა. ნათლითა შენითა. „რომელი იგი ჰშვე ქალწულო. გამოუთქუმელად ნუ დასცხრები ვედრებად კაცთმოყუარისა მის. რათა მიხსნეს განსაცდელთაგან მტერისათა. რომელნი შენდა მოვივლტით ყოვლად უბინოო.“

კვირიელისონი გ. დიდება და ანდა.

გალობა გ, ხმა ბ:

განაპო სიღრმე ზღვისა. „ლაზარეს აღდგომისათვის ქრისტე. ოსანასა გილადადებდეს შენ. ყრმანი ებრაელნი კაცთმოყუარეო. ხოლო უშჯულომან იუდა. არა ინება შეგონებად.“

მუხლი: {ფს. 34.1.} „საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრ.“ იგივე.

მუხლი: {ფს. 34.2.} „აღილე ჭური და ფ.“

(მასვე ზედა) „სერობასა შენსა ქრისტე ღმერთო. მონაფეთა შენთა წინასწარ ეტყოდე. ვითარმედ ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე. ხოლო უშჯულომან იუდა. არა ინება შეგონებად“.

მუხლი: {ფს. 34.2.} „აღილე ჭური და ფარი.“ იგივე.

მუხლი: {ფს. 34.3.} „აილე მახვილი შენი.“

„იოვანე გკითხვიდა რა უფალო. ვითარმედ მიცემელი შენი ვინ არს. მიცემითა პურისათა უჩუენე იგი. ხოლო უშჯულომან იუდა. არა ინება შეგონებად.“

მუხლი: {ფს. 34.4.} „ჰრცხუენოდენ და კდე.“ იგივე.

მუხლი: {ფს. 34.4.} „მართლუკუნ იქცენ.“

„საბანელსა მას შენსა ქრისტე ღმერთო. ეტყოდე შენთა მათ მონაფეთა. ესრეთ ჰყოფდით ვითარცა ესე იხილეთ. ხოლო უშჯულომან იუდა. არა ინება შეგონებად.“



მუხლი: {ფს. 34.5.} „იქმნენ იგინი ვითარცა მტუერნი“. იგივე.

მუხლი: {ფს. 34.6.} „იყვნენ გზანი მათნი ბნელ.“

„იღვიძებდით და ილოცევდით. მონაფეთა შენთა ეტყოდე. ქრისტე ღმერთო რათა არა განიცადნეთ. ხოლო უშჯულომან იუდა. არა ინება შეგონებად.“

მუხლი: „ენინ მათ საბრხე.“ იგივე.

მუხლი: {ფს. 34.9.} „ხოლო სული ჩემი იხარებდეს ღმრთისა მიმართ.“

„ოცდაათ ვეცხლად ყოვლადძლიერო. და ამბორისყოფითა ზაკუვისათა. გეძიებდეს შენ მოკლვად ჰურიანი. ხოლო უშჯულომან იუდა. არა ინება შეგონებად.“

მუხლი: {ფს. 34.10.} „ყოველთა ძუალთა ჩ.“ იგივე.

დიდება და ანდა: „ღმრთისმშობელო იხსენ სამწყსო შენი. განსაცდელთაგან რამეთუ ღმრთისა. შემდგომად ყოველნი შენდა მივივლტით. რამეთუ შენ ხარ შეურყეველი. ზღუდე და სასო მორწმუნეთადა“.

და ყონ კუერექსი: „მერმეცა და მარადის მშვიდობით.“ „შეგუენიენ, შეგვიწყალენ „ყოვლად წმიდა“. მღდელმან ბ ლოცვა ცისკრისა და შემდგომად ასამალლებელისა და ამენისა თქუან:

წარდგომა ა, ხმა გ გუერდი:

(ამალდა ზეცად) „სერობასა მას მონაფეთა შენთა თანა. ინახიდგი უფალო და უწყოდე ზაკუა იგი. განმცემელისა და იუდას ამხილე მიცემითა. პურისათა იცოდე მოუქცეველი. სიბოროტე მისი არამედ გენება. ყოველთა უწყებად. ვითარმედ ნეფსით მიეცემი. რათა სოფელი იხსნე მტერისაგან. სულგრძელო უფალო დიდება შენდა.“

დიდება და იგივე მეორედ თქუან. და მეყსეულად დიაკონმან თქუას: „ღირს ყოფად და სმენად.“

სახარება იოვანესი (II): {იოანე 18.1-28.} „მას ჟამსა შინა გამოვიდა იესუ მონაფეთა თვისთა“, ვიდრე „რათა ჭამონ პასექი იგი.“ ესრეთ უკუე იქმნას სამსა მწყობრსა ზედა ვიდრე დასასრულამდე ათხუთმეტთავე საგალობელთა.

გალობა დ, ხმა გ გუერდი:

(მჯდომარე) „დღეს იუდა დაუტევებს მოძღუარსა. სახიერსა და მიუთუალავს ეშმაკსა. დაბრმდების ვნებითა მით ვეცხლისმოყუარებისათა. განვარდების ნათლისაგან დაბნელებული და ვითარმცა. ეძლო ხილვად რომელმან მნათობი. უსასყიდლო განყიდა. ზაკუვით ოცდაათ ვეცხლის. არამედ ჩუენ გამოგვიბრწყინდა იგი. რომელმან ყოვლისა. სოფლისათვის ივნო. მისსა მიმართ ხმავყოთ. რომელი ჯუარს ეცუ მონყალეო. და კაცთმოყვარეო. დიდება შენდა.“

მუხლი: {ფს. 14.1} „უფალო, ვინ დაეშენოს.“ იგივე.

მუხლი: {ფს. 14.2.} „რომელი ვიდოდის უბინოდ.“

(მასვე ზედა) „დღეს იუდა იჯმნის ღმრთისმსახურებისაგან. და უცხო იქნების მხსნელისაგან. მონაფე იყო ბილნი. და იქმნა შინა-განმცემელ. და სახითა მით.

ამბორისყოფისათა ზაკუვაჲ. გამოაჩინა. მედგრობით და აღირჩია. უგუნურმან მონებაჲ. ვეცხლისმოყუარებისაჲ. უფროჲს ვიდრელა. სიყუარული ქრისტესი. და წინამძღუარ ექმნა. შესაკრებელსა. უღმრთოებისასა. ხოლო ჩუენ ვხმობთ რომელი ჯუარს ეცუ. კაცთმოყუარეო. უფალო დიდებაჲ შენდა.“

მუხლი: {ფს. 14.3.} „რომელი არა ზაკუვიდეს.“ იგივე.

მუხლი: {ფს. 14.4.} „შეურაცხ იქმნენ წინაშე.“

(ამაღლდა ზეცად) „ძმათმოყუარებაჲ მოვიგოთ ქრისტეს მიერ. და ნუ უწყალო ვართ ძმანო მოყუასთა მიმართ ჩუენტა. რათა არა დავისაჯნეთ ვითარცა მონაჲ. იგი უწყალოჲ ასისა მისთვის დრაჰკნისა. და იუდას მსგავსად უსარგებლოჲთა. სინანულითა. საუკუნოდ ვინანდეთ. რომლისაგან გვიხსნენ სახიერ. და ღირს გვეყვენ ალსრულებად მცნებათა შენთა.“

მუხლი: {ფს. 14.4.} „რომელი ეფუცოს მოყუას.“ იგივე

დიდებაჲ და ანდა: (უფსკრულთა ზღვისათა) „დიდებაჲ ითქუა შენთვის თესლითი თესლამდე. ღმრთისმშობელო მარიამ. რამეთუ გვიშევ შემოქმედი. ყოველთა ხორცითა უქორწინებელო.“

კვირიელეისონი გ. დიდებაჲ და ანდა.

#### გალობაჲ ე, ხმაჲ ა გუერდი

„მონაფე მოძღურისაჲ აღითქუამს ფასსა. ოცდაათისა ვეცხლისათვის განყიდა უფალი. ამბორისყოფითა სიცრუვისათა მისცა იგი სიკუდილად. უშჯულოთა მათ.“

მუხლი: {ფს. 16.1.} „ისმინე, უფალო, სიმაართლისაჲ.“ იგივე.

მუხლი: {ფს. 16.3.} „გამოსცადე გული ჩემი.“

„დღეს ეტყოდა შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ თვისთა მონაფეთა. მოახლებულ არს ჟამი. მოვალს იუდა. მიმცემელი ჩემი. ნუვიენ უვარ-მყოფთ მე რაჟამს მიხილოთ ჯუარსა ზედა შორის ორთა ავაზაკთა. ვივნო ვითარცა კაცმან. და ვაცხოვნე ვითარცა კაცთმოყუარე ვარ. ჩემნი მორწმუნენი.“

მუხლი: {ფს. 16.9.} „მტერთა ჩემთა გამოსცადე გული“. იგივე.

დიდებაჲ და ანდა: (რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლის) „რომელმან აღსასრულსა ჟამთასა უთესლოდ. და გამოუთქმელად მუცლად იღე. და გვიშევ დამბაღებელი. ქალწულო მარიამ მას ევედრე. ცხორებად სულთა ჩუენტათვის.“

კვირიელეისონი გ. დიდებაჲ და ანდა.

#### გალობაჲ ვ, ხმაჲ გ გუერდი:

(ამაღლდა ზეცად) „დღეს იღვიძებდა იუდა მიცემად უფლისა. პირველ საუკუნეთა მაცხოვარსა სოფლისასა. რომელმან ხუთითა მით პურითა განაძლო სიმრავლე უდაბნოსა ზედა. დღეს უშჯულოჲ უვარ ჰყოფს მოძღუარსა თვისსა. მონაფე იყო. და განყიდა მეუფე. ოცდაათისა ვეცხლისათვის. რომელმან მანანაჲ უწვიმა ისრაელსა.“

მუხლი: {ფს. 51.3.} „რად-მე იქადინ უკეთუ“ იგივე.



მუხლი: {ფს. 51.4.} „ვითარცა მახვილი, ალღეს.“

(მასვე ზედა) „ღღეს ჯუარსა შემსჭუალეს ჰურიათა მსხნელი. რომელმან განაპო მათ ზღუა მენამული კუერთხითა. და განიყვანნა იგინი დაულტოლველად. ღღეს ლახურითა გუერდსა უგუმირეს რომელმან. წყლულებითა ტანჯა მათთვის ეგვიპტე. და ნაღველი ასუეს. ძმრითა განზავებული. რომელმან იგი მანანაა. მოსცა მათ საზრდელად უდაბნოსა ზედა.“

მუხლი: {ფს. 51.5.} „შეიყუარა მან უშჯ.“

იგივე მუხლი: {ფს. 51.6.} „შეიყუარა მან ყოველი სიტყუა დაქცე.“

(მჯდომარე) „უფალო მოხვიდოდე რაა ნეფსით ვნებად. ჩუენთვის ეტყოდე მონაფეთა შენთა ესრეთ. უკუეთუ ვერ უძლეთ თქვენ. ერთ ჟამცა მღვიძარებად ან ჩემ თანა ვითარ. უკუე იტყოდეთ სიკუდილსა. ჩემთვის პირველ ან მიხედენით თქვენ იუდას. ვითარ არა სძინავს არამედ მოსწრაფე არს. მიცემასა. ჩემსა უსჯულოთა და უკუე განიფრთხვეთ. და ილოცევდით თქუენ. და ნუ უვარ მყოფთ მე. მიხილოთ რაა ნეფსით ჯვარცმული. ყოვლად სულგრძელო. უფალო დიდება შენდა.“

მუხლი: „ამისთვის დაამხუას იგი ღმერეთმან სრულიად.“

იგივე. დიდება და ანდა. „გიხაროდენ ღმრთისმშობელო. რომელმან ცათა დაუტევნელი დაიტიე საშოსა. გიხაროდენ ქალწულო წინასწარმეტყუელთა მიერ ქადაგებულო. რომლისაგან გამოგვიბრწყინდა ჩუენ ემმანუელ. გიხაროდენ დედაო ქრისტეს ღმრთისაო.“

და ყონ კუერექსი და ლოცვა

და თქუან წარდგომა, ხმაა გ გუერდი:

მჯდომარე „რომელმან-მე საქემან გყო შენ იუდა. განმცემელად მაცხოვრისა ყოველთასა. ნუუკუე კრებულისა. მისგან მონაფეთაჲსა განგყო. ანუ ნუუკუე. სერობასა ტაბლისა მისგან. განგაყენა. ანუთუ სხუათა ფერხნი დაჰბანნა. და შენ უგულვებელს გყო. ჰოი რავდენტა კეთილთა. დამვიწყებელ. იქმენ ამისთვის შენი. უმაღლო გონება. განიქიქა ხოლო. მისი იგი საღმრთო აურაცხელი სულგრძელება. და მონყალება. განითქუა ცისკიდეთა.“

დიდება და მეორედ იგივე.

ღიაკონმან: „ღირს ყოფად.“ სახარება მათესი (III): „მას ჟამსა შინა მხედართა მათ შეიპყრეს“ ვიდრე „ტიროდა მწარედ.“

გალობა ზ, ხმაა დ გუერდი:

„უშჯულოთა. შენთა შემპყრობელთა. მიშუებითა. ესრეთ ეტყოდე უფალო. დალათუ მწყემსი ესე დაეცით. და განიბნინენ ჩემნი ათორმეტნი მონაფენი. შემძლებელ ვიყავ. უფროჲს ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთასა მოყვანებად. არამედ ვსულგრძელებ. რათა აღესრულოს. რომელი გამოგიცხადე თქუენ. პირითა წინასწარმეტყუელთა ჩემთათა. უჩინონი და დაფარულნი. უფალო, დიდება შენდა.“



მუხლი: „უფალო ღმერთო ჩემო, შენ გესავ.“ იგივე.

მუხლი: „აღდეგ, უფალო, რისხვითა შენითა.“

(განმაძლიერებელ მექმენ) „სამგზის უვარ-გყო პეტრე. მეყსეულად სიტყუაჲ შენი. გულისხმა-ყო უფალო არამედ. შენირნა შენდა ცრემლნი. სინანულისანი და გოდებით. ესრეთ იტყოდა ღმერთო. მილხინე და შემინყალე მე.“

მუხლი: „განიღეძე, უფალო ღმერთო ჩემო.“ იგივე.

დიდება ანდა: (მასვე ზედა) „ვითარცა ბჭესა ცხორებისასა. და სამოთხესა შუენიერსა. და მიუარდილებელისა მის. ნათლისა სასანთლესა. ყოვლად წმიდასა დედოფალსა. ყოველნი უგალობდეთ და გიხაროდენსა უღალადებდეთ.“  
კვირიელეისონი გ, დიდებაჲ ანდა.

გალობაჲ მ, ხმაჲ ა გუერდი:

„თქუთლა ჰურიანო. რაჲ იხილეთ მაცხოვრისაგან. შჯული გარდააქცია ანუ მოძღურებაი. წინასწარმეტყუელთაჲ. ვითარ არაჲ შეიშინეთ მიცემად პილატესა. ღმერთი სიტყუაჲ ღმრთისაჲ. და მხსნელი სულთა ჩუენთაჲ.“

მუხლი: „მინყალე მე, ღმერთო, მინყალე.“ იგივე.

მუხლი: „ხმა-ვყავ ღმრთისა მიმართ მალ.“

(მოვედით აღვიდეთ) „ჯუარცუმად შენდა ღალადებდეს შუებულნი იგი კეთილთა შენთაგან. და ძვირისმოქმედსა მას. გამოითხოვდეს. ქველისმოქმედისა წილ. მკლველნი იგი მართალთანი ხოლო შენ. ქრისტე სდუმენ და მათსა მას. წარმდებებასა თავს-იდებდ რამეთუ. გენება ვნება რათა აცხოვნო. სოფელი ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.“

მუხლი: „გამოავლინა მალლით.“ იგივე.

დიდებაჲ და ანდა — „რამეთუ არა გუაქუს მრავალთა. ცოდვათა ჩუენთათვის კადნიერებაი უღირსთა. არამედ. შენგან შობილსა ევედრე ღმრთისმშობელო ქალწულო რამეთუ. ოხაჲ დედისაჲ. ფრიად. შემძლებელ არს ძისა მიმართ მვედრებელთა მისთა. შეწყნარებად. ვინაცა ცოდვილთა ოხასა. ნუ შეურაცხ-ჰყოფ. ყოვლად წმიდაო რამეთუ. მონყალე არს და ცხოვრებაჲ. ჩუენი ძალ-უც რომელმან. ვნებანი დაითმინა. ჩვენთვის.

კვირიელეისონი გ. დიდება ანდა.

გალობაჲ თ, ხმაჲ გ:

„აღწონეს ოცდაათი იგი ვეცხლი. სასყიდელი განსყიდულისაჲ მის. რომელი მოიყიდეს. ძეთაგან ისრაელისათა. იღვიძებდით და ილოცევდით. რაჲთა არა შეხვიდეთ განსაცდელსა. სული ვიდრემე გულსმოდგინე არს. ხოლო ხორცნი უძღურ. ამისთვისცა ილოცევდით.“

მუხლი: „მაცხოვნე მე, ღმერთო, რამეთუ შე.“

იგივე. მუხლი: „ყუედრებაჲ დაითმინა.“ ვიდრე „არა ვპოვე.“

„მცეს საჭმელად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი. ხოლო შენ, უფალო, აღმადგინე მე და მე მივაგო მათ.“



მუხლი: „ და მცეს მე საჭმელად ჩემდა.“

იგივე. მუხლი: „იქმენინ ტაბლაა“ ვიდრე „შედრიკე“.

(ქერუბიმთა) „ჯუარსა ზედა ამაღლებული. მნათობთა გიხილეს და ბნელად გარდაიქცეს. და მთავრობისა იგი ფლობა. მწუხარებით აქუნდა. და შეძრწუნებულნი აღიღებდეს სულგრძელებასა შენსა. რომელმან ივნი ჩუენთვის უფალო დიდებაჲ შენდა.“

მუხლი: „მიჰფინე მათ ზედა რისხ.“ ვიდრე „მკვიდრი“. იგივე.

დიდებაჲ და ანდა: (რომელმან სიტყვით არარასაგან) „ნარმართაგანნი. მორწმუნენი გიგალობთ. შენ ღმრთისმშობელო ქალწულო. რომეთუ შევ ქრისტე ღმერთი. რომელმან წყევისაგან იხსნა შენ მიერ. ნათესავნი კაცთანი.“

და ყონ კუერექსი და ლოცვაჲ და თქუან

### ნარდგომაჲ ხმაჲ დ გუერდი:

(ვითარმე გხადოღით) „ჰოი ვითარ ოდეს მოწამეფემან. შენმან ქრისტე იუდა. შინაგანცემაჲ შენი იზრახა. შენ თანა ისერებდა. მზაკუვარი იგი და უშჯულოჲ. ნარვიდა. და ეტყოდა მღდელთმოდღუართა მათ. რაჲ მომცეთ. და მე მიგცე თქუენ დამხსნელი იგი. შჯულისა და შაბათობისა თქუენისაჲ. ეჰა უკეთური. სულგრძელო უფალო დიდებაჲ შენდა“.

დიდებაჲ და ანდა. იგივე.

ღიაკონმან: „ღირს ყოფად.“ სახარებაჲ იოვანესი (IV) (18.28-19.16): „მას ჟამსა წარიყვანეს იესუ კაიაფაის.“ ვიდრე „რაითა ჯუარს-ეცუას.“

### გალობაჲ ი, ხმაჲ ბ გუერდი:

(დასაბამად) „რომელმან შეიმოსა ნათელი სამოსლის სახედ. შიშუელი საშჯელად წარდგა. და ყურიმლისცემაჲ თავს-იდვა. ხელითა თვისითა. დაბადებულთაჲთა. და ერმან უშჯულომან. ჯუარსა ზედა დამოკიდნეს დღეს. ღმერთი დიდებისა. ხოლო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის. განიპო და კლდენი განსქდეს. ქუეყანაჲ ძრნოდა. და მზე დაბნელდა. რამეთუ ვერ უძლო ხილვად შეურაცხებაჲ უფალო. რომლისაგან ძრნიან ყოველნი. ამას თაყუანის-ვსცემდეთ.“

მუხლი: „თქუან უგუნურმან გულსა.“

იგივე. მუხლი: „განირყუნნეს.“

(გიხაროდენ ქალწულო უბინოო) „მონაფემან. უვარ-ყო ხოლო ავაზაკმან აღიარა. და ხმა-ყო მომიხსენე უფალო. ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.“

მუხლი: „არავინ არს, რომელმანცა“ ვიდრე „გამომეძიებელ ღმრთისა.“

იგივე. მუხლი: „ყოველთავე მიაქციეს“.

დიდებაჲ და ანდა: („რომელმან კურთხეულ უწოდე დედასა შენსა.“ თუნდა ესე: „უბინოო ღვთისმშობელო“) „მშვიდობა ყავ სოფლისათვის. მეუფეო რომელმან.

ქალწულისაგან ხორცთა. შესხმად თავს-იდევ მონათა. შენთათვის მონყალებით. რათა ერთობით გადიდებდეთ შენ კაცთმოყვარე.“

კვირიელეისონი გ. „დიდება, ანდა.

გალობაჲ ია, ხმაჲ ბ გუერდი:

„ნაცვალად კეთილთა რომელ უყვენ ქრისტე. ერსა ებრაელთასა. ჯუარსა დამსჭუალვითა შენ დაგსჯეს. ძმარი და ნავლელი. შენ მოგიპყრეს. არამედ მიეც უფალო. საქმეთა მათთაებრ. რამეთუ ვერ გულის ხმა-ყვეს. შენი სიმდაბლე.“

მუხლი: „უფალო ღმერთო, ცხორებისა ჩე.“

იგივე. მუხლი: „შევედინ შენ წინაშე ლოცვაჲ ჩემი“.

„შინაგანცემად არა კმა-ეყო ქრისტე. ერსა ებრაელთასა. არამედ ყრიდეს თავთა მათთა. ბასრობით. და გაყუედრებდეს. არამედ მიეც უფალო. საქმეთა მათთაებრ.“

მუხლი: „რამეთუ აღივსო ძვირითა“ ვიდრე „დამდვეს მე მღვიმესა.“

იგივე. მუხლი: „ვიქმენ მე ვითარცა კაცი შეუწევნელი“.

დასდებელი: „არცა შეძრვამან ქუეყანისამან ქრისტე. ებრაელთა არწმუნა. არცა კრეტსაბმელმან ტაძრისამან. არცა აღდგომამან მკუდართამან. არამედ მიეც უფალო საქმეთა მათთაებრ.“

მუხლი: „დამდვეს მე მღვიმესა ქ.“

იგივე. დიდებაჲ და ანდა: (რომელმან განავლო ზღვა) „სასოო სოფლისაო ღმრთისმშობელო. ქალწულო შენსა მას დიდებულსა. მეოხებასა ვითხოვთ მორწმუნენი. შეიწყალე ერი განწირული. ევედრე მონყალებსა ღმერთსა. ხსნად ჩუენდა ყოვლისაგან რისხვისა. მხოლოო კურთხეულო ყოვლად წმიდაო. რათა გადიდებდეთ უკუნისამდე.“

კვირიელეისონი გ. დიდება, ანდა

გალობაჲ იბ, ხმაჲ დ გუერდი:

„ესრეთ ეტყოდე უფალო ჰურიათა. ერო ჩემო რაჲთა შეგანუხენ თქუენ. ანუ რაჲთა განგარისხენ თქუენ. ბრმანი თქუენნი განვანათლენ. კეთროვანნი გავწმიდენ. და განრლუეული ცხედარსა ზედა მდებარე აღვადგინე. მანანასა მის წილ მომიპყრობთ მე ნავლელსა. და წყლისა მის წილ ძმარსა. სიყუარულისა ჩემისა წილ. ჯუარსა ზედა მე დამმსჭუალეთ. ან მოუწოდო წარმართთა და მათ მადიდონ მე. და მე მივსცე მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ.“

მუხლი: „მიხსენ მე მტერთა ჩემ.“

იგივე. მუხლი: „მიხსენ მე მოქმედთა.“

დასდებელი: „დღეს ტაძრისა იგი. კრეტსაბმელი. სამხილებელად განიპო. უსჯულოთა მათ. და მზემან ბრწყინვალეებაჲ თვისი დაიფარა. რამეთუ უფალსა გხედვიდეს ჯუარცუმულსა.“

მუხლი: „რამეთუ ესერა მოინადირეს სული ჩემი და.“

იგივე. მუხლი: „მიიქცენ მწუხრი.“



„შჯულისმდებელნო ისრაელისანო. ჰურიანო და ფარისეველნო. კრებული მოციქულთაჲ ლაღადებს და იტყვის. აჰა ტაძარი რომელ თქუენ დაჰსენით. აჰა კრავი რომელ თქუენ ჯუარს აცვით. და დაფლვად მიეცით იგი. არამედ თვისითა ხელმწიფებითა აღდგა. ნუ სცთებით ჰურიანო. რამეთუ ესე არს რომელმან ზღუასა განგარინნა. და უდაბნოს გამოგზარდნა. ესე არს ნათელი და ცხორება. და მშვიდობაჲ სოფლისა.“

მუხლი: „მნეო ჩემო, შენ გიგა.“

იგივე. დიდება და ანდა: (ხმა გ გვერდი მჯდომარე) „რომელი ჩუენთვის იშევ ქალწულისაგან. ჯუარცუმაჲ დაითმინე ქრისტე სახიერ. რომელმან სიკუდილითა. სიკუდილი მოაკუდინე. და აღდგომა. აჩუენე ვითარცა ღმერთ ხარ. ხელთა შენთა. ქმნულსა ნუ უგულებელს-ჰყოფ. არამედ აჩუენე ან. კაცთმოყუარებაჲ შენი. და მიიღე მონყალე რომელმან გშვა. ღმრთისმშობელისაგან. მოტევებაჲ ჩვენთვის მაცხოვარო ჩვენო. და აცხოვნე ერი განწირული. ყოვლად ძლიერო. უფალო დიდება შენდა.“

კვირიელეისონი გ. და ყონ კუერექსი და ლოცვაჲ და თქუან

ნარდგომა, ხმაჲ გ გუერდი:

(ამაღლდა ზეცად) „ქრისტე ღმერთო ოდეს-იგი წარსდეგ კაიაფასა. და მიეცი პილატეს მსაჯული ეგე ყოველთა. ზეცისა ძალნი შიშისაგან შეძრწუნდეს. ხოლო აჰმაღლდი რაჲ ძელსა ზედა შორის. ორთა ავაზაკთა და უშჯულოთა. თანა შეირაცხე. უცოდველი მეუფე. მაშინ აცხოვნე ნათესავი კაცთა. სულგრძელო უფალო დიდებაჲ შენდა.“ დიდება, იგივე.

ღიაკონმან „ღირს ყოფად და სმენად.“ სახარებაჲ მათესი (IV): „მას ჟამსა შინა იხილა იუდა, რამეთუ დაისა.“ ვიდრე „ჯუარი მისი.“

გალობაჲ იგ, ხმაჲ ბ გუერდი:

(კაცთათვის) „კრებულმან ჰურიათამან. პილატესგან ითხოვა ჯუარცუმაჲ შენი უფალო. რამეთუ ბრალი შენ ზედა ვერაჲ პოვეს. და ბრალეული იგი. ბარაბა გამოითხოვეს და შენ მართალი ბრალეულ გყვეს და მკლველობისა. იგი ცოდვაჲ დაიმკვიდრეს მათ. არამედ მიეც მათ. მეუფეო მისაგებელი. უღმრთოებათა მათთაჲ. რამეთუ ცუდი იზრახეს შენთვის. და ჩვენ შეგვიწყალენ მადიდებლენი შენნი.“

მუხლი: „უფალო, შეგესემინ ლოცვისა.“

იგივე. მუხლი: „რამეთუ დევნა მტერმან სული.“

(რომელმან განავლო) „რომლისაგან ყოველნი დაბადებულნი. მონინებით ძრწიან ზარგანხდილნი. და ყოველი ენაჲ უგალობს. ქრისტე ღმრთისა ძალი და სიბრძნე. ჰურიათა ჯუარს-აცუეს და ასუეს. ნავლელი ხოლო თავადმან თავს-იდვა. რამეთუ ენება ხსნაჲ ჩუენი ცოდვათაგან. თვისითა სისხლითა. კაცთმოყუარებით.“

მუხლი: „ნუ გარემიიქცევ.“

იგივე. მუხლი: „მიხსენ მე მტერთა.“





დასდებელი: „ჯუარითა შენითა ქრისტე ვიქადით. და აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ. რამეთუ ჯუარცუმად თავს-იდევ. და სიკუდილი ღმრთეებრ დასთრგუნე.“

მუხლი: „მასწავე მე, რაითა.“

იგივე. დიდება და ანდა: (ნათლითა შენითა) „რომელმან სიტყუა უზეშთაეს. სიტყვისა მუცლად-იდე ხარებითა ანგელოზმთავრისათა. ღმრთისმშობელო და. გვიშევ გამოუთქმელად. განსაცდელთაგან გვიხსნენ რომელნი გადიდებთ შენ.“

გალობა იდ, ხმა დ გუერდი:

(რომელმან დაჰრთენ წყარონი) „უფალო ღმერთო. რომელმან ავაზაკი იგი. რომლისა ხელნი სისხლითა შებლალულ იყვნეს. შენ თანა მოგზაურ ჰყავ. ჩუენცა ცოდვათა. შენდობად მოგვანიჭე. და მის თანა შეგურაცხენ ვითარცა. სახიერ ხარ. და მრავალმონყალე ქრისტე მხსნელო დიდება შენდა.“

მუხლი: „უფალი სუფევს, განრისხნედ“ ვიდრე „ყოველთა ზედა ერთა.“

და იგივე. მუხლი: „შენ განჰმზადე სინრფოებად“.

(ვედრებასა ჩემსა) „სიტყუა მცირე აღმოთქუა ავაზაკმან მან. ჯუარსა ზედა და დიდი სარწმუნოება პოვა. და ერთსა შინა წამსა ცხოვნდა და სამოთხისა. ბჭენი პირველ ყოველთასა განეხუნეს. და შევიდა. რომელმან მისი იგი სინანული შეინირე უფალო დიდება შენდა.“

მუხლი: „აღმამაღლებდით უფალსა ღმერთსა ჩუენსა, თაყუანის-ეცით კუარცხ.“

და იგივე. დიდება და ანდა: „გიხაროდენ რომელმან მთავარანგელოზისა მიერ. სიხარული ყოვლისა სოფლისა შეინყნარე. გიხაროდენ რომელმან ჰშევ დამბადებელი და უფალი. გიხაროდენ რომელი ღირს იქმენ ყოფად დედად ღმრთისა.“  
კვირიელეისონი გ, დიდება და ან და.

გალობა იე, ხმა ბ გუერდი:

„დღეს დამოეკიდების ძელსა. რომელმან დაჰკიდა ქუეყანად წყალთა ზედა. გვირგვინსა ეკალთაგან დაიდგამს. ანგელოზთა მეუფე. ტყუილისა ძონეულსა შეიმოსს. რომელმან შემოსნა ცანი ღრუბლითა. ყურიმლისცემასა ნეფსით თავს-იდებს. რომელმან იორდანეს განათავისუფლა ადამ. სამსჭულითა განიმსჭუალვის. სიძე ეკლესიისა. ლახურითა განიგუმირა. ძე იგი ქალწულისა. თაყუანის-ვსცემთ ვნებათა შენთა ქრისტე. მიჩუენე ჩუენ. შენიცა დიდებული აღდგომა.“

მუხლი: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხე.“ ვიდრე „ილუანე ჩემთვის.“

იგივე. მუხლი: „ყოველთა, რომელთა მიხილეს მე.“ ვიდრე „ესვიდა უფალსა, იხსნა იგი.“

(ანგელოზთა დღეს) „ნუ ებრაელებრ. ვდღესასწაულობთ მორწმუნენო. რამეთუ პასქად. ჩუენდა დაიკლა ქრისტე ღმერთი. არამედ განვიწმიდნეთ. თავნი ჩუენნი ყოვლისაგან. ბილწებისა და უმანკოებით. ვევედრებოდით და ვიტყოდით. აღდეგ ღმერთო ჩვენო. და გუაცხოვნენ ჩუენ ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.“



მუხლი: გარემომადგეს მე ზუარაკ“ ვიდრე „მყვირალმან.“

იგივე. მუხლი: „განხურიტნეს ხელნი“.

(უბინრო ღვთისმშობელო) „ცხორება არს და სიქადულ. ჯუარი შენი უფალო. ერისათვის შენისა. მას ვესავთ და შენ ხორციოთა. ჯუარცუმულსა ღმერთსა ჩუენსა. გადიღებთ და თაყვანის-გცემთ შეგვიწყალენ ჩუენ.“

მუხლი: „მათ მიხილეს მე, გან.“

იგივე. დიდება: (დაიძინა მღვიმესა ვითარცა კაცმან) „რომელმან კურთხეულ უწოდე. დედასა შენსა მოხუედ ვნებად ნეფსით ჩუენტვის. გამოჰბრწყინდი ჯუარსა ზედა. მოძიებად ადამისა და ეტყოდე. ანგელოზთა ჩემ თანა. გიხაროდენ რამეთუ იპოვა წარწყმედული იგი ღრაქმაჲ. რომელმან ყოველი. სიბრძნით განაგე ქრისტე. ღმერთო ჩვენო დიდებაჲ შენდა.“

და ანდა: (რომელმან განავლო) „მინყალენ ჩუენ უფალო შემინყალენ ჩუენ. რამეთუ ყოვლისავე სიტყვისა. მიცემისაგან ულონო ვართ. გარნა ამას ვედრებასა. შენ მეუფისა ტკბილისა. და ყოვლად სახიერისა. ცოდვილნი ესე შევსწირავთ ვედრებით. მინყალენ ჩუენ უფალო. შემინყალენ ჩუენ.“

და ესეცა დ გუერდი: „მომიხსენენ ჩუენ ქრისტე სოფლის მაცხოვარ. ვითარცა ავაზაკი წინაშე ჯუარსა. და ღირს-მყვენ ჩუენ ყოველნი. შენსა ზეცისა სასუფეველსა.“ ორგზის თქუან. და ყონ კუერექსი და ლოცვაჲ და

თქუან წარდგომაჲ, ხმაჲ დ:

(ყოველნი ტომნი) „მოგვიყიდენ ჩუენ. წყევისაგან სჯულისა პატიოსნითა. მით სისხლითა შენითა. ჯუარსა ზედა დაემსჭუალე სახიერ. და ლახურიტა განიგუმირე. და კაცთა უკუდავებაჲ. აღმოგვიცენე. მაცხოვარო და მხსნელო. სულგრძელო. დიდებაჲ შენდა.“ დიდებაჲ და იგივე. დიაკონმან: „ღირს ყოფად და სმენად.“ სახარებაჲ ვ მარკოზისი (VI): „მას ჟამსა შინა მხედართა“ ვიდრე „გურწმენეს.“

და მეყსეულად იბაკოჲ ხმაჲ ა გუერდი

„რომელი ჯუარს-ეცუა ჩუენტვის. მივედით ერნო. უგალობდეთ მას. იხილა იგი მარიამ. ჯუარსა ზედა და თქუა. დალაცათუ ჯუარსა ზედა გიხილე. შენ ხარ ძე ჩემი და ღმერთი ჩემი. ყოვლად ძლიერი. კაცთმოყუარე და მაცხოვარი“.

და იკითხონ წიგნი თარგმანებისაგან სახარებისა ანუ გიორგი ნიკომიდიელისა. და მისსა შემდგომად აღიღონ მომიხსენე ხმაი დ „ნეტარ იყვენენ, რომელთა შიოდის“; „ხისა მიერ ადამ შეცთომილი“ სრულიად,

„ნეტარ იყვენენ მოწყალენი“,

„შჯულისა მომცემელი. უშჯულოთა მონაფისაგან მიიყიდეს. და ვითარცა უსჯულოჲ. პილატეს საყდართა წარადგინეს. ხმობდეს გულისწყრომით ჯუარცუმასა. რომელმან უდაბნოს მანანაჲ მოსცა მათ. ხოლო ჩუენ მორწმუნისა. ავაზაკისა მსგავსად. ესრეთ ვლაღადებდეთ. მომიხსენენ მხსნელო სასუფეველსა.“

„ნეტარ იყვენენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი.“



„ღმრთისმკლველთა კრებული. ჰურიათა ერთი უგულისხმო. პილატეს მიმართ ხმობდეს. სიბორგილით. ჯუარცუმისათვის შენისა. ქრისტე ცხოვრების მომცემლო. და შენ წილ ბარაბას გამოითხოვდეს. ხოლო ჩუენ შენდა მომართ. მსგავსად მორწმუნისა მის. ავაზაკისა. ვიტყვი. მომიხსენენ სასუფეველს შენსა.“

„ნეტარ იყვენენ მშვიდობის.“

„ჯუარცუმათა თავს-იდევ ჩუენტვის. რაათა ჩუენ მოტევებათა მოგუმადლო. ლახურითა განიგუმირე. და წყაროთა ცხოვრებისა მომეც ჩუენ. სამშჳულითა დამსჭუალულ იქმენ შენ. რაათა ვნებითა უვნებელობათა მომცე. ამისთვის სახიერო. გადიდებთ და გიგალობთ. ქრისტე მაცხოვარ. დიდებათა ჯუარცუმასა და ვნებასა შენსა.“

„ნეტარ იყვენენ დევნულნი“:

„ჯუარცუმასა შენსა ქრისტე. დაბადებულნი ზარგანგანხდილ იქმენეს. ქუეყანათა შიერყია. საფუძველითურთ და კლდენი განსთქდეს. მნათობნი დაბნელებულ იქმენეს. და ტაძრისა კრეტსაბმელი განიპო. მათათა ძრწოლათა შეეღვა. და დღე ღამედ გარდაიქცა. ხოლო ჩუენ ვიტყვი. ავაზაკისა თანა მომიხსენე.“

„ნეტარ იყვენეთ თქუენ, რაჟამს.“

„აჰხედ რათა ჯუარსა ზედა. სიკუდილისა სიმტკიცე შეჰმუსრე. და რა იდევ საფლავსა. მართალნი ყოველნი აღადგინენ. პირმშო მკუდართა იქმენ ქრისტე. და მიჰმადლე მათ ცხოვრებათა საუკუნოთა. ამისთვის აღდგომითა. შენითა გამოსხნილნი გიღალადებთ შენ მომიხსენე.“

„გიხაროდენ და მხიარულ იყვენ.“

„ხელითნერილი იგი. პირველისა ცოდვისა ჩუენისა. ჯუარსა ზედა ლახურითა. განჰხეთქე ქრისტე საკრველებით. და მკუდრად შიერაცხე შენ. ამისთვისცა დასთრგუნე მძლავრი ძლიერი. და იხსენენ მორწმუნენი. აღდგომითა შენითა. და გიღალადებთ მომიხსენენ.“

დიდებათა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა.

„ყოველნი. მორწმუნენი ერთობით. დიდებისმეტყუელებით ვადიდებდეთ. ერთარსებასა სამებით. და სამებასა სამგუამოვნებით. შეურწყუმელად განუყოფელად. მარტივად განუწვალებელად. მიუწდომელად. რომლისაგან ვიხსნებით ცეცხლისაგან სატანჯველთასა“.

და ანდა მარადის. — „დედასა შენსა ქრისტე. რომელმან უთესლოდ ხორციითა გშვა. და შემდგომად შობისა. ჭეშმარიტად დაადგრა ქალწულად. ამას შენდა მიმართ აღვსძრავთ. მეოხებად უფალო მრავალმონყალე. შეცოდებათა ჩუენტა. შენდობათა მოგუანიჭე. რომელნი ვიტყვი მომიხსენე.“

წარდგომა, ხმათა დ:

„განიყვეს სამოსელი ჩემი მათ.“ დასდებელი: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ.“ სახარებათა მათეს თავისათა(VII): „მას ჟამსა შინა მოვიდეს მხედარნი“ ვიდრე „ჭეშმარიტად ძე ღმრთისათა იყო ესე.“

## დიდი პარასკევის საგალობლები

(თანამედროვე „მარხვანიდან“)

### წმიდასა და დიდსა პარასკევსა ცისკრად

#### შედეგი წმიდათა და სავედრებელთა ვნებათა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესთა

წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა ვჰრეკთ ბ ჟამსა ღამისასა, და შევჰკრებთ ჩვენ ეკლესიად. მღუდელმან: კურთხეულ არსი. და ვყოფთ დანყებასა ჩვეულებისაებრ ვითარ იგი წერილ არს ხუთშაბათსა ე კვირიაკისასა. ესრეთ. ექუს ფსალმუნნი, და შემდგომად მისსა კვერეჟსი დიდი. ხოლო შემდგომად ასამაღლებელისა, ვჰგალობთ, ალილუიასა ხმასა ზედა ჭ, და რაჟამს დიდებულნი მონაფენი გ გზის, ნელიად ტკბილის წმით. წერილს არს დიდსა ხუთშაბათსა ცისკრად.

### ტროპარი, ხმა ჭ

რაჟამს დიდებულნი მონაფენი საბანელსა მას სერობისასა განნათლდებოდეს, მაშინ უსჯულო იუდა ვეცხლის მოყვარებისა სენითა დაბნელდებოდა, და უსჯულოთა მსაჯულთა შენ, მართალსა მსაჯულსა მიგცემდა! იხილეთ, ჰოი, მორწმუნენო, ტრფიალი იგი ვეცხლისა, რომელმან მისთვის შიშთვილ-იბა, და ივლტოდეთ უძღებისა მისგან სენისა, რომელმან მოძღვარსა თვისსა ზედა ესევეითარი იკადრა! არამედ, რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, კაცთმოყვარე, დიდება შენდა!

ესრეთ კვერეჟსი მცირე. და მიეცემის სანთელი ძმათა ეკლესიარხისაგან და იტყვის მღუდელი ღირს-ყოფად ჩვენდა.

წარკითხვის უპირატესისაგან პირველი სახარება იოანესი, ანდერძისა წმიდათა ვნებათასა

დიდება ვნებათა შენთა, უფალო! [დიდება შენდა!] (სახარების წინ)

დიდება სულგრძელებასა შენსა, უფალო! [დიდება შენდა!] (სახარების შემდეგ)

### ფსალმუნის მუხლები

მთავარნი ერთანი შეჰკრბეს ერთად უფლისათვის და ცხებულისა მისისათვის!  
(ორგზის)

სიტყვაჲ უსჯულოებისაჲ დამსდვეს ჩემ-ზედა! უფალო! უფალო, ნუ განმაგდებ მე!  
(ორგზის)

და მეყვესულად ვჰგალობთ აღსავალთა, განმარ-ორებელნი ყოველთა მუხლთანი (ყოველი აღსავლის ბოლო საგალობლის წინ იგალობება „დიდება მამასა“, შემდეგ ბოლო საგალობელი, „ანდა“ და კვლავ იგივე ჰიმნი).

### აღსავალი ა, ხმა ე

1. საცნობელნი ჩვენნი, ჰოი, მორწმუნენო, ქრისტესა წარვუდგინეთ და სულნი ჩვენნი მისთვის დავჰსხნეთ, ვითარცა მეგობართა მისთა! და ნუ სოფლისა ზრუნვათაგან ვიშთვებით, ვითარცა იუდა, არამედ, საუნჯეთა შინა ჩვენთა ღაღად-ვჰყოთ: „მამაო ჩვენო ზეცათაო, ბოროტისაგან გვიხსენ ჩვენ!“



2. ქალწულებით ჰშევ, უქორნინებელო, და ქალწულადვე ეგე, დედაო, უსძლოო, ღვთისმშობელო მარიამ; ქრისტესა, მეუფესა ჩვენსა, ევედრე ცხოვრებად სულთა ჩვენთათვის!

### აღსავალი ბ, ხმა ვ

1. მირბიოდა იუდა და ეტყოდა უსჯულოთა მათ, ბილნთა მნიგნობართა: „რაჲ გნებაჲს მოცემად, რაჲთა მე მიგცე თქვენ, რომელსა ეძიებთ?“ ხოლო შორის ზავებისა მის, თავადი ჰსდევ უხილავად და ზავი იგი გესმოდა, გულთ-მეცნიერო! აცხოვნენ სულნი ჩვენნი, ვითარცა ღმერთ ხარ!

2. მონყალებითა გლახაკათაჲთა ღმერთსა ვმსახუროთ, ვითარცა მარიამ სერობასა მას; და ნუ მოვიგებთ ვეცხლის-მოყვარებასა, ვითარცა იუდა, რათა მარადის უფლისა თანა ვიყოფოდეთ!

3. რომელი იგი ჰშევ, ქალწულო, გამოუთქმელად, ნუ დაჰსცხრები ვედრებად კაცთმოყვარისა მის, რაჲთა მიხსნეს ჩვენ განსაცდელთაგან მტერისათა, რომელნი შენდა მოვივლტით, ყოვლად უბინოო!

### აღსავალი გ, ხმა ბ

1. ლაზარეს აღდგომისათვის, ქრისტე, ოსანნასა გილაღადებდეს შენ ყრმანი ებრაელთანი, კაცთმოყვარეო, ხოლო უსჯულომან იუდა არა ინება შეგონებად!

2. სერობასა შენსა, ქრისტე ღმერთო, მონაფეთა შენთა წინასწარ ეტყოდი, ვითარმედ: „ერთმან თქვენგანმან მიმცეს მე!“. ხოლო უსჯულომან იუდა არა ინება შეგონებად!

3. იოანე გკითხა რა, უფალო, ვითარმედ: „მიმცემელი შენი ვინ არს?“, მიცემითა პურისაჲთა უჩვენე იგი! ხოლო უსჯულომან იუდა არა ინება შეგონებად!

4. ოცდაათ ვეცხლად, ყოვლად ძლიერო, და ამბორის-ყოფითა სიცრუვისაჲთა გეძიებდეს შენ მოკლვად პურიანი! ხოლო უსჯულომან იუდა არა ინება შეგონებად!

5. საბანელსა მას შენსა, ქრისტე ღმერთო, ეტყოდი შენთა მათ მონაფეთა: „ესრეთ ჰყოფდეთ, ვითარცა იხილეთ!“. ხოლო უსჯულომან იუდა არა ინება შეგონებად!

6. „იღვიძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხვიდეთ განსაცდელსა!“ — მონაფეთა შენთა, ქრისტე ღმერთო, ეტყოდი! ხოლო უსჯულომან იუდა არა ინება შეგონებად!

7. ღვთისმშობელო, იხსენ სამწყსო შენი განსაცდელთაგან, რამეთუ ღმრთისა შემდგომად შენდა ყოველნი მოვივლტით, რამეთუ შენ ხარ შეურყეველი ზღუდე და სასო მორწმუნეთა!



## ნარდგომა, ხმა ვ

სერობასა მას მონაფეთა შენთა თანა ინახ-იდგი, უფალო, და უწყოდი ზაკვა იგი განცემისა და იუდას ამხილე მიცემითა პურისადათა! იცოდი მოუქცეველი სიბოროტე მისი, არამედ გენება ყოველთად უწყებად, ვითარმედ, ნებსით მიეცემი, რადათა სოფელი იხსნე მტერისაგან! სულგრძელო უფალო, დიდება შენდა!

*ხოლო არა დავჰსხდებით ნარდგომასა ამას ზედა, ვინათგან მღუდელი აკმევს წმიდასა შინა საკურთხეველსა, არამედ მდგომარენი ვჰვალობთ ამას [ნარდგომასა]. დიდება, დასასრული [ნარდგომისა „სერობასა მას მონაფეთა“], ან და, სრულიად [„სერობასა მას მონაფეთა“]. [ყველა ნარდგომა ამნაირად იგალობება].*

*ნარიკითხავს მღვდელი მეორესა სახარებასა.*

## აღსავალი დ, ხმა ზ

1. დღეს იუდა დაუტეობს მოძღვარსა სახიერსა და მიითვალავს ეშმაკსა; დაბრმდების ვნებითა მით ვეცხლისმოყვარებისადათა და განვარდების ნათლისაგან, დაბნელებული! და ვითარმცა ეძლო ხილვად, რომელმან მნათობი უსასყიდლოდ განჰყიდა, ზაკვით, ოცდა-ათ ვეცხლად? არამედ, ჩვენ გამოგვიბრწყინდა, რომელმან ყოვლისა სოფლისათვის ივნო! მისა მიმართ ხმა-ვჰყოთ: „რომელი ჯვარს ეცვ, მოწყალო, კაცთმოყვარეო, უფალო, დიდება შენდა!“

2. დღეს იუდა იჯმნის ღვთისმსახურებისაგან და უცხო იქმნების ქრისტეს მხსნელისაგან! მონაფე იყო, ბილწი, და იქმნა შინა განმცემელ; და სახითა მით ამბორის-ყოფისათა ზაკვა გამოაჩინა, მედგრობით; და აღირჩია უგუნურმან მონება ვეცხლისმოყვარებისა, უფროდ ვიდრეა სიყვარული ქრისტესი; და წინამძღვარ ექმნა შესაკრებელსა მას უღმრთოებისასა! ხოლო ჩვენ ვჰხმობთ: „რომელი ჯვარს ეცვ, კაცთმოყვარეო, უფალო, დიდება შენდა!“

3. ძმათ-მოყვარება მოვიგოთ ქრისტეს მიერ, და ნუ უწყალო ვართ, ძმანო, მოყვასთა მიმართ ჩვენთა, რათა არა დავისაჯნეთ, ვითარცა მონა იგი უწყალო — ასისა მისთვის დრაჰკნისა, და იუდას მსგავსად უსარგებლოდათა სინანულითა საუკუნოდ ვინანდეთ! რომლისაგან გვიხსნენ, სახიერ, და ღირს-გვყვენ აღსრულებად მცნებათა შენთა!

4. დიდებული ითქვა შენთვის თესლითი თესლადმდე, ღმრთისმშობელო მარიამ, რომელმან გვიშევ შემოქმედი ყოველთად ხორცითა, უქორწინებელო!

## აღსავალი ე, ხმა ე

1. მონაფე მოძღვრისა აღითქვამს ქრთამსა! ოცდაათისა ვეცხლისათვის განჰყიდა უფალი! ამბორის-ყოფითა სიცრუვისათა მისცა იგი სიკვდიდ უსჯულოთა მათ!

2. დღეს ეტყოდა შემოქმედი ცათა და ქვეყანისა თვისთა მათ მონაფეთა: „მოახლებულს არს ჟამი! მოვალს იუდა, მიმცემელი ჩემი! ნუ ვინ უარ-მყოფთ მე, რაჟამს

მიხილოთ ჯვარსა ზედა, შორის ორთა ავაზაკთა! ვივნო, ვითარცა კაცმან, და ვაცხოვნენ, ვითარცა კაცთმოყვარე ვარ, ჩემნი მორწმუნენი!“

3. რომელმან, აღსასრულსა ჟამთასა, უთესლოდ და გამოუთქმელად მუცლად-ილე და გვიშევ დამბადებელი, ქალწულო მარიამ, მას ევედრე, ცხოვრებად სულთა ჩვენთათვის!

### აღსავალი ვ, ხმა ზ

1. დღეს იღვიძებდა იუდა მიცემად უფლისა! პირველ საუკუნეთა მაცხოვარსა სოფლისასა, რომელმან იგი ხუთითა მით პურითა განაძლო სიმრავლე უდაბნოს ზედა, დღეს უსჯულო უარ-ჰყოფს — მოძღვარსა თვისსა! მოწაფე იყო და განჰყიდა მეუფე ოცდაათისა ვეცხლისათვის, რომელმან მანანა უწვიმა ისრაილსა!

2. დღეს ჯვარსა შეჰმსჭვალეს ჰურიათა მხსნელი, რომელმან განუპო მათ მენამული კვერთხითა და განიყვანა იგინი დაულტოლველად! დღეს ლახვრითა გვერდსა უგმირეს, რომელმან წყლულებითა ჰსტანჯა მათ მიერ ეგვიპტე! და ნავლელი ასვეს, ძმრითა განზავებული, რომელმან იგი მანანა მისცა მათ საზრდელად უდაბნოსა ზედა!

3. უფალო, მოხვიდოდი რა ნებსით ვნებად ჩვენთვის, ეტყოდი მოწაფეთა შენთა ესრეთ: „უკეთუ ვერ უძლეთ თქვენ ერთ ჟამცა მღვიძარებად ან ჩემ თანა, ვითარ უკვე იტყოდით სიკვდილსა ჩემთვის პირველ?! ან მიხედენით თქვენ იუდას, ვითარ არა ჰსძინავს მას, არამედ მოსწრაფე არს მიცემასა ჩემსა უსჯულოთადა! ან უკვე, განიფრთხვეთ და ილოცევდით თქვენ, და ნუ ვინ უარ-მყოფთ მე, მიხილოთ რა ნებსით ჯვარცმული!“ ყოვლად სულგრძელო, უფალო, დიდება შენდა!

4. გიხაროდენ, ღმრთისმშობელო, რომელმან ცათა დაუტევნელი დაიტყე საშოსა! გიხაროდენ, ქალწულო, წინასწარმეტყველთა მიერ ქადაგებულო, რომლისაგან აღმოგვიცენდა ჩვენ ემმანუილ! გიხაროდენ, ქრისტეს დედაო!

### წარდგომა, ხმა ზ

რომელმან-მე საქმემან გყო შენ, იუდა, განმცემელ მაცხოვრისა ყოველთასა? ნუ უკვე, კრებულისა მის მოწაფეთასა განგყო? ანუ, ნუ უკვე, სერობასა, ტაბლისა მისგან განგაყენა? ანუ სხვათა ფერხნი დაჰბანა და შენ უგულუბელს-გყო? ჰოი, რაოდენთა კეთილთა დამვიწყებელ იქმენ! ამისთვის, შენი უმადლო გონება განიქიქა, ხოლო მისი იგი საღმრთო, აურაცხელი მონყალება და სულგრძელება განითქვა ცის-კიდეთა!

*სახარება ვ.*

### აღსავალი ზ, ხმა ზ

1. უსჯულოთა, შენთა შემპყრობელთა მიშვებითა, ესრეთ ეტყოდი, უფალო: „დაღაცათუ მწყემსი ესე დაეცით და განაბნიეთ ჩემნი ათორმეტნი მოწაფენი;



შემძლებელ ვიყავ უფროდს ათორმეტთა გუნდთა ანგელოსთასა მოყვანებად, არამედ სულ-ვგრძელობ, რაათა აღესრულოს, რომელი გამოგიცხადე თქვენ პირითა წინასწარმეტყველთა ჩემთაათა, უჩინონი და დაფარულნი!“ უფალო, დიდება შენდა!

2. სამ-გზის უარ-გყო შენ პეტრე! მეყვსეულად სიტყვა შენი გულისხმა-ჰყო, უფალო! არამედ, შეჰსწირნა შენდა ცრემლნი სინანულისანი, და გოდებით ესრეთ იტყოდა: „ღმერთო, მილხინე და შემინყალე მე!“

3. ვითარცა ბჭესა ცხორებისასა და სამოთხესა შვენიერსა და მიუაჩრდილებელისა მის ნათლისა სასანთლესა, ყოვლად წმიდასა დედოფალსა ყოველნი უგალობდეთ და „გიხაროდენსა“ უღალადებდეთ!

### აღსავალი ზ, ხმა ე

1. ჰსთქუთ-ლა, ჰურიანო, რა იხილეთ მაცხოვრისაგან? — ჰსჯული გარდააქცია, ანუ მოძღურებად წინასწარმეტყველთა? ვითარ არა შეიშინეთ მიცემად პილატესა ღმერთი, — სიტყვად ღმრთისა და მხსნელი სულთა ჩვენთაა?!

2. ჯვარცმად შენდა ჰღალადებდეს შვებულნი კეთილთა შენთაგან, და ძვირის-მოქმედსა მას გამოითხოვდეს, — ქველის-მოქმედისა მის წილ, მკლველნი იგი მართალთანი! ხოლო შენ, ქრისტე, ჰსდუმენ და მათსა მას წარმდებებასა თავს-იდებდ, რამეთუ გენება ვნებად, რაათა აცხოვნო სოფელი, ვითარცა კაცთმოყვარე ხარ!

3. რამეთუ არა მაქვს ჩვენ კადნიერებად მრავალთაგან შეცოდებათა ჩვენთა, არამედ, შენგან შობილსა ევედრე, ღმრთისმშობელო ქალწულო, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ვედრებად დედა ძისა მიმართ, შეწყალებად მვედრებელთა მისთა! ნუ შეურაცხ-ჰყოფ ოხასა ჩვენ ცოდვილთათვის, ყოვლად წმიდაო, რამეთუ მოწყალე არს და ცხოვრებად ჩვენდა შემძლებელ, რომელმანცა ჯვარსა ზედა ვნება ნებსით თავს-იდვა ჩვენთვის!

### აღსავალი თ, ხმა გ

1. აღჰსწონეს ოცდაათი იგი ვეცხლი, — სასყიდელი განსყიდულისა მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაილისათა! „იღვიძებდით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა! სული ვიდრე-მე გულსმოდგინე არს, ხოლო ხორცი — უძლურ, ამისთვის, იღვიძებდით!“

2. ჯვარსა ზედა ამაღლებული მნათობთა გიხილეს და ბნელად გარდაიქცეს, და მთავრობისა იგი ფლობა მწუხარებით აქვნდა, და შეძრწუნებულნი, ადიდებდეს სულგრძელებასა შენსა! რომელმან ივნე ჩვენთვის, უფალო, დიდება შენდა!

3. წარმართთაგანნი მორწმუნენი გიგალობთ, ღმრთისმშობელო ქალწულო, რომელმან ჰჰევე ქრისტე ღმერთი, რომელმან წყევისაგან იხსნა, შენ მიერ, ნათესავნი კაცთანი!





## წარდგომა, ხმა ღ

ჰოი, ვითარ, ოდესმე მოწაფემან შენმან, ქრისტე, იუდა, შინა-გაცემა შენი იზრახა! შენ თანა ისერებდა, მზაკვარი იგი, უსჯულო! წარვიდა და ეტყოდა მღვდელთმთავართა მათ: „რა მომცეთ და მე მიგცე თქვენ დამხსნელი იგი სჯულისა და შაბათობისა თქვენისა?“ ეჰა, უკეთური! სულგრძელო, უფალო, დიდება შენდა!

*სახარება დ.*

## აღსავალი ი, ხმა ვ

1. რომელმან შეიმოსა ნათელი სამოსლის სახედ, შიშველი სასჯელად წარჰსდგა და ყვრიმლის-ცემა თავს-იდვა,— ხელითა თვისთა დაბადებულთათა! და ერმან უღმრთომან ჯვარსა ზედა დამოჰკიდეს დღეს ღმერთი დიდებისაჲ! ხოლო კრეტ-საბმელი ტაძრისა მის განიპო და კლდენი განჰსქდეს, ქვეყანა ჰსძრნოდა და დღე დაბნელდა და ვერ უძლო ხილვად შეურაცხებაჲ ღმრთისაჲ, რომლისაგან ჰსძრნიან ყოველნი! ამას თავყანის-ვჰსცემდეთ!

2. მოწაფემან უარ-ჰყო, ხოლო ავაზაკმან აღიარა და ხმა-ჰყო: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!“

3. მშვიდობა ჰყავ სოფლისათვის, მეუფეო, რომელმან ქალწულისაგან ხორცთა შესხმა თავს-იდევ მონათა შენთათვის, მონყალებით, რადთა ერთობით გადიდებდეთ შენ, კაცთმოყვარე!

## აღსავალი ია, ხმა ვ

1. ნაცვლად კეთილთა, რომელ უყვენ, ქრისტე, ერთა ებრაელთასა, ჯვარსა დამსჭვალვითა შენ დაგსაჯეს, ჯვარი და ნაღველი შენ მიგიპყრეს! არამედ, მიეც, უფალო, საქმეთა მათთაებრ, რამეთუ ვერ გულისხმა-ჰყვეს შენი სიმდაბლე!

2. შინა-განცემა არა კმა-ეყო, ქრისტე, ერსა ებრაელთასა, არამედ ჰყრიდეს თავთა მათთა ბილწნი, ბასრობით, და გაყვედრებდეს! არამედ, მიეც, უფალო, საქმეთა მათთაებრ, რამეთუ ვერ გულისხმა-ჰყვეს შენი სიმდაბლე!

3. არცა შეძრვამან ქვეყანისამან, ქრისტე, ებრაელთა არწმუნა, არცა კრეტსაბმელმან ტაძრისამან, არცა აღდგომამან მკვდართამან! არამედ, მიეც, უფალო, საქმეთა მათთაებრ, რამეთუ ვერ გულისხმა-ჰყვეს შენი სიმდაბლე!

4. სასოო სოფლისაო, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენსა მას დიდებულსა მეოხებასა ვითხოვთ მორწმუნენი, შეიწყალე ერი განწირული, ევედრე მონყალესა ღმერთსა ხსნად ჩვენდა ყოვლისაგან რისხვისა, მხოლოო კურთხეულო!



## აღსავალი იბ, ხმა ჴ

1. ესრეთ ეტყოდი, უფალო, ჰურიათა: „ერო ჩემო, რა შეგანუხენ თქვენ, ანუ რა განგარისხენ თქვენ? ბრმანი თქვენნი განვანათლენ, კეთროვანნი განვჰსწმიდენ, და განრღვეული, ცხედარსა ზედა მდებარე, აღვადგინე! მანანასა მის წილ მომიპყრობთ მე ნავლელსა და წყლისა მის წილ — ძმარსა, სიყვარულისა წილ ჯვარსა ზედა მე დამმსჭვალავთ! ან, მოვუნოდო წარმართთა და მათ მადიდონ მე, თანა მამით და სულით წმიდითურთ, და მე მივჰსცე მათ ცხოვრებაჲ საუკუნომ!“

2. დღეს ტაძრისა იგი კრეტსაბმელი სამხილებელად, განიპო, უსჯულოთა მათ! და მზემან შარავანდელი თვისი დაიფარა, რამეთუ უფალსა გხედვიდეს ჯვარცმულად!

3. სჯულისმდებელნო ისრაილისანო, ჰურიანო და ფარისეველნო, კრებული მოციქულთაჲ ჰლალადებს და იტყვის: „აჰა, ტაძარი, რომელი თქვენ დაჰხსენით! აჰა, კრავი, რომელი თქვენ ჯვარს-აცვით და დაფლვად მიეცით იგი! არამედ, თვისითა ხელმწიფებითა, აღდგა! ნუ ჰსცთებით, ჰოი, ჰურიანო, რამეთუ ესე არს, რომელმან ზღვასა განგარინნა და უდაბნოს გამოგზარდნა! ესე არს ნათელი და ცხოვრებაჲ და მშვიდობაჲ სოფლისაჲ!“

4. გიხაროდენ, ქალწულო უბინო, რამეთუ შენ მხოლოსა ყოველნი დაბადებულნი გალობით გადიდებთ!

## წარდგომა, ხმა ჴ

ქრისტე ღმერთო, ოდეს წარჰსდგე კაიაფასა და მიეცი პილატეს,— მსაჯული ეგე ყოველთა, ზეცისა ძალნი შიშისაგან შეჰსძრწუნდეს, ხოლო ამაღლდი რა ძელსა ზედა, შორის ორთა ავაზაკთა, და უსჯულოთა თანა შეირაცხე,— უცოდველი მეუფე, მაშინ აცხოვნე ნათესავი კაცთა! სულგრძელო უფალო, დიდება შენდა!

*სახარება ე.*

## აღსავალი იგ, ხმა ვ

1. კრებულმან ურიათამან პილატესგან ითხოვა ჯვარცმა შენი, უფალო, რამეთუ ბრალი შენ ზედა ვერა ჰპოვეს; ხოლო ბრალეული იგი ბარაბა გამოითხოვეს და შენ,— მართალი, ბრალეულ-გყვეს და მკლველობისა იგი ცოდვა დაიმკვიდრეს მათ! არამედ, მიეც მათ, უფალო, მისაგებელი უღმრთოებათა მათთა, რამეთუ ცუდი იზრახეს შენთვის, და ჩვენ შეგვიწყალენ,— მადიდებელნი შენნი!

2. რომლისაგან ყოველნი დაბადებულნი მოწინებით ჰსძრწინან, ზარ-განხდილნი, და ყოველი ენა ჰგალობს,— ქრისტე ღმერთი, ძალი და ღმრთისა სიბრძნე, ჰურიათა ჯვარს-აცვეს და ასვეს ნავლელი! ხოლო თავადმან თავს-იდვა, რამეთუ ენება ხსნა ცოდვათაგან, თვისითა სისხლითა, კაცთმოყვარებით!



3. რომელმან სიტყვა, უზესთაეს სიტყვისა, მუცლად-ილე, ხარებითა გაბრიილ მთავარ-ანგელოსისათა, ღმრთისმშობელო, და გვიშევ გამოუთქმელად, განსაცდელთაგან გვიხსნენ, რათა გადიდებდეთ!

### აღსავალი იდ, ხმა ჴ

1. უფალო ღმერთო, რომელმან ავაზაკი იგი, რომელსა ხელნი სისხლითა შეეღებნეს, შენ თანა მოგზაურ ჰყავ, ჩვენცა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭე, და მის თანა შეგვრაცხენ, ვითარცა სახიერ ხარ და მრავალ-მონყალე! ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა!

2. სიტყვა მცირე აღმოსთქვა ავაზაკმან ჯვარსა ზედა და სარწმუნოება ჰპოვა, და ესრეთ, წამსა შინა, ჰსცხონდა და სამოთხისა ბჭენი პირველ ყოველთასა განეხვნეს და შევიდა! რომელმან მისი სინანული შეიწირე, უფალო, დიდება შენდა!

3. გიხაროდენ, რომელმან, მთავარ-ანგელოსისა მიერ, სიხარული ყოვლისა სოფლისა შეიწყნარე! გიხაროდენ, რომელმან ჰშევ დამბადებელი და უფალი! გიხაროდენ, რომელი ღირს-იქმენ ყოფად დედისა ღმრთისა!

### აღსავალი იე, ხმა ვ

1. დღეს დამოეკიდების ძელსა, რომელმან დაჰკიდა ქვეყანა წყალთა ზედა! გვირგვინსა ეკალთაგან დაიდგამს ანგელოსთა მეუფე! ტყუილისა ძონეულსა შეიმოსს, რომელმან შეჰმოსნა ცანი ღრუბლითა! ყვრიმლის-ცემასა ნებსით თავს-იდებს, რომელმან იორდანეს განათავისუფლა ადამ! სამსჭვლითა განიმსჭვალვის სიძე ეკკლესიისა! ლახვრითა განიგმირვის ძე იგი ქალწულისა! თაყვანის-ვჰსცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე! თაყვანის-ვჰსცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე! თაყვანის-ვჰსცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე! მიჩვენენ ჩვენ დიდებულიცა შენი აღდგომა!

2. ნუ ებრაელებრ ვდღესასწაულობთ, მორწმუნენო, რამეთუ პასქად ჩვენდა დაიკლა ქრისტე ღმერთი! არამედ, განვიწმიდნეთ თავნი ჩვენნი ყოვლისაგან ბილწებისა და უმანკოებით ვევედრებოდეთ და ვიტყოდეთ: „აღდეგ, უფალო, ღმერთო ჩვენო, და გვაცხოვნენ, ვითარცა კაცთმოყვარე ხარ!“

3. ცხოვრება არს და სიქადულ ჯვარი შენი, უფალო, ერისათვის შენისა! მას ვესავთ და შენ, ხორციითა ჯვარ-ცმულსა ღმერთსა ჩვენსა, გადიდებთ და თაყვანის-გცემთ! შეგვიწყალენ ჩვენ!

4. რომელმან „კურთხეულ“ უწოდე დედასა შენსა, მოხვედ ნებსით ვნებად ჩვენთვის! გამობრწყინდი ჯვარსა ზედა, მოძიებად ადამისსა, და ეტყოდი ანგელოსთა: „ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ იპოვა წარწყმედული დრაჰქმა!“ რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა!



## წარდგომა, ხმა დ

მომიყიდენ ჩვენ წყევისაგან სჯულისა პატიოსნითა მით სისხლითა შენითა, ჯვარსა დაემსჭვალე, სახიერ, და ლახვრითა განიგმირე, და კაცთა უკვდავება აღმოუცენე! მაცხოვარო და მხსნელო, სულგრძელო უფალო, დიდება შენდა!

*სახარება ვ.*

### მომიხსენენი

- I) სასუფეველსა შენსა მომიხსენენ ჩვენ, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა!
- II) ნეტარ იყვენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა!
- III) ნეტარ იყვენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ!
- IV) ნეტარ იყვენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა!
- V) ნეტარ იყვენ, რომელთა ჰშიოდის და ჰსწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განჰსძლენ!

### დასდებელნი

#### ხმა დ

1) ხისა მიერ ადამ შეცთომილი განჰვარდა სამოთხით! ხისა მიერ ჯვარისა — ავაზაკი შევიდა სამოთხედ! რამეთუ, მან — შეურაცხ-ჰყო ბრძანება დამბადებლისა თვისისა, ხოლო ესე — მის თანა ჯვარცმული, ჰლაღადებდა აღსარებით: „მომიხსენე, მხსნელო, სასუფეველსა შენსა!“

VI) ნეტარ იყვენ მონყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ!

2) სჯულისა მომცემელი უსჯულოთა მონაფისაგან მიიყიდეს და, ვითარცა უსჯულო, პილატეს საყდართა წარადგინეს, ჰხმობდეს გულისწყრომით ჯვარცმასა, — რომელმან უდაბნოს მანანა მოჰსცა მათ! ხოლო ჩვენ, მორწმუნისა ავაზაკისა მსგავსად, ესრეთ ვჰლაღადებთ: „მომიხსენენ, მხსნელო, სასუფეველსა შენსა!“

VII) ნეტარ იყვენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ!

3) ღმრთის მკლველთა კრებული, ურიათა ერი უგულისხმო, პილატეს მიმართ ჰხმობდეს სიბორგილით — ჯვარცმისათვის შენისა, ქრისტე, ცხოვრების მომცემელო, და შენ წილ ბარაბას გამოითხოვდეს! ხოლო ჩვენ, შენდა მომართ, მსგავსად მორწმუნისა მის ავაზაკისა, ვიტყვით: „მომიხსენენ, მხსნელო, სასუფეველსა შენსა!“

VIII) ნეტარ იყვენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ!

4) ჯვარცმა თავს-იდევ ჩვენთვის, რაფთა ჩვენ მოტევება მოგვმადლო! ლახვრითა განიგმირე და წყარო ცხოვრებისა მომეც ჩვენ! სამსჭვლითა დამსჭვალულ იქმენ, რათა ვნებათა უვნებელობა მომცე! ამისთვის, სახიერო, გადიდებთ და გიგალობთ, ქრისტე მაცხოვარ: „დიდება ჯვარცმასა და ვნებასა შენსა!“



X) ნეტარ იყვენ ღვეწულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა!

5) ჯვარცმასა შენსა, ქრისტე, დაბადებულნი ზარ-განხდილ იქმნეს! ქვეყანა შეირყია საფუძვლითურთ და კლდენი განჰსქედეს! მნათობნი დაბნელებულ იქმნეს და ტაძრისა კრეტსაბმელი განიპო! მათათა ძრწოლა შეედვა და ღღე ღამედ გარდაიქცა! ხოლო, ჩვენ ვიტყვით, ავაზაკისა თანა: „მომიხსენე მე, მხსნელო, სასუფეველსა შენსა!“

X) ნეტარ იყვენეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ და გღვენიდენ და ჰსთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუვით, ჩემთვის!

6) აღჰხედ რა ჯვარსა ზედა, სიკვდილისა სიმტკიცე შეჰმუსრე! და-რა-იდეც საფლავსა, მართალნი ყოველნი აღადგინენ! პირმშო მკვდართა იქმენ, ქრისტე, და მიჰმადლე მათ ცხოვრება საუკუნო! ამისთვის, აღდგომითა შენითა გამოხსნილნი, გილაღადებთ შენ: „მომიხსენენ, მხსნელო, სასუფეველსა შენსა!“

XI) გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი მრავალ არს ცათა შინა!

7) ხელით-წერილი იგი, — პირველისა ცოდვისა ჩვენისა, ჯვარსა ზედა ლახვრითა განჰხეთქე, ქრისტე, საკვირველებით და მკვდრად შეირაცხე შენ, ამისთვისცა დაჰსთერგუნე მძლავრი ძლიერი და იხსნენ მორწმუნენი აღდგომითა შენითა! და გილაღადებთ: „მომიხსენენ, მხსნელო, სასუფეველსა შენსა!“

XII) დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა!

8) მამასა და ძესა და სულსა წმიდასა ჩვენ, ყოველნი მორწმუნენი, ერთობით დიდების-მეტყველებით ვადიდებთ,— ერთ-არსებასა სამებით და სამებასა — სამ-გვამოვნებით, შეურწყმელად, განუყოფელად, მარტივად, განუწვალებელად, მიუწთომელად, რომლისაგან ვიხსნებით ცეცხლისაგან ტანჯვათასა!

XIII) აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე; ამინ!

9) დედასა შენსა, ქრისტე, რომელმან უხრწნელებითა ხორციითა გშვა და შემდგომად შობისა ჭეშმარიტად დაადგრა ქალწულად, ამას შენდა მომართ აღვსძრავთ მეოხებად! უფალო, მრავალ-მოწყალე, შეცოდებათა ჩვენთა შენდობა მოგვანიჭე, რომელნი ვიტყვით: „მომიხსენენ, მხსნელო, სასუფეველსა შენსა!“

### წარდგომა, ხმა დ

განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი!

*მუხლი:* ღმერთო! ღმერთო ჩემო, მომხედენ მე! რასათვის დამიტყვებ მე?!

*სახარება ზ.*

*ფსალმუნნი ნ.*

*სახარება ლ.*

და მეყუსეულად ვჰვალობთ სამ-სავალობელსა, ქმნილსა უფლისა კოსმასი. სძლის-პირი ორ-ორ-გზის, ხოლო ტროპარნი იბ და უკანასკნელ სძლის-პირი ორთავე გუნდთა ერთად. ხოლო კიდურ-წერილობა სამ-სავალობელისა არს „პრო სავვატონ ტე“ რომელ არს „ხოლო პირველ შაბათს“.



## სამ-საგალობელი, ქმნილი უფლისა კოსმასი, ხმა ვ

### გალობა ე

#### ძლისპირი

შენდა აღვიმსთობ,— მოწყალებისათვის დაცემულისა მის, დაცალიერებულისა და ვნებათადმდე უვნებელად შთამოსრულისა! სიტყვაო ღმრთისაო, მომეც მე მშვიდობაჲ, კაცთ-მოყვარე!

1. ფერხ-განბანილნი, წინათ განწმედილნი, ღმრთისა გონებისა დაფარულთა ზიარ-ქმნითა, მსახურნი შენნი, ქრისტე, სიონით ზეთისხილთათ მთად თანა აღმოგყვეს, შენნი მგალობელნი, კაცთ-მოყვარე!

2. „ჰრიდეთ!“ — ეტყოდი,— „შვილნო და ნუ ჰშფოთებთ! მოახლებულ არს ჟამი, ოდეს შემისპყრან სიკვდილად, ბილწთა ხელითა და ყოველნი განიბნივნეთ და მე დამიტევოთ, რომელმან შეგკრიბენ მაქებელად ჩემდა!“

### კონდაკი, ხმა ზ

რომელი ჩვენთვის ჯვარს-ეცვა, მოვედით, ერნო, უგალობდეთ მას! იხილა იგი მარიამ ჯვარსა ზედა და ჰსთქვა: „დალაცათუ ჯვარსა ზედა გიხილე, შენ ხარ ძე ჩემი და ღმერთი ჩემი, ყოვლად ძლიერი, კაცთ-მოყვარე და მაცხოვარი!“

### იკოსი, ხმა ზ

თვისსა კრავსა რა მიჰხედვიდა ტარიგი, — დაკლვად მიყვანებულსა, შეუდგა, მარიამ, მგლოვარე სხვათა მათ თანა დედათა, ამათ მხმობი: „სადა წარხვალ, შვილო? რასათვის სრულ-ჰყოფ მალიადსა სერობასა? ანუ, სხვა ქორწილი იქმნების კანასა და მუნ მსწრაფლობ ან, რადთა წყლისაგან ღვინო წდუულ-ჰყო მათთვის? თანა მოგყვე, შვილო, და თანა დავადგრე! მეც სიტყვა, სიტყვაო! ნუ ღუმილით თანა-წარმხდები, რომელი უბინოდ მცევდ, ძეო და ღმერთო ჩემო!“

*აქა წარიკითხვის სვინაქსარი.*

### გალობა ზ

#### ძლისპირი

სიბოროტისა ძეგლი ღმრთის-მბრძოლი ყრმათა ღირსთა განაქიქეს! ხოლო, ქრისტესთვის შეთქმული, დღეს, უსჯულო შესაკრებელი განიზრახავს ცუდსა, იწვრთის სიკვდილსა — ცხოვრებისა მპყრობელისა ხელითა, რომელსა ქებით ყოველი აღგებული ჰსძნობს, დიდების-მეტყველი!



1. „წამთაგან ძილი ან განიშორეთ თქვენ!“ — არქუ, ქრისტე,— „ჰოი, მონაფენო! ხოლო მლოცველნი იღვიძებდით,— ნუ სადა მლოცველთა გვენოსთ! და უფროსლა,— სვიმონ, რამეთუ უფროს განცდილმან მიცნა მხსნელი, პეტრე, რომელსა ქებით ყოველი აღგებული მძნობს, დიდების-მეტყველი!“

2. „განვჰსხნე აროდეს მე ბაგენი სიტყვით შეგინებად, მეუფეო! შენ თანა მოვჰკვდე, ვითარ ერთგული, უარ-გყონ-ლა თუ სხვათა!“ — ჰლაღადებდა პეტრე,— „არა ხორცთა და სისხლთა, მამამან განმიცხადა შენთვის, რომელსა ქებით ყოველი აღგებული გძნობს, დიდების-მეტყველი!“

3. „სიღრმე სიბრძნისა და ღმრთისა ცნობისა არღარა გამოგიძევებს! უფსკრულთა ჩემთა სჯათასა ვერ მიმწვთარ ხარ, კაცო!“ — უფალმან ჰრქვა,— „და ნუ იქადი შენ, ხორცი ეგე, რამეთუ უარ-მყო მე სამ-გზის, რომელსა ქებით ყოველი აღგებული მძნობს, დიდების-მეტყველი!“

4. „აღჰსთქვამ არა ქმნად, სიმონ-პეტრე, მისსა, რომელ მსწრაფლ ჰყო, ვითარ ითქვა! და შენ, მხევალმან, მო-რა-ვიდეს, მყის მძრწოლარე გყოს შიშით!“ — უფალი ეტყოდა,— „ხოლო, მტირალსა, გაქვნდე მე კეთილ მლხინებელად, რომელსა ქებით ყოველი აღგებული მძნობს, დიდების-მეტყველი!“

## გალობა თ

### ძლისპირი

უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით ვადიდებდეთ!

1. მოსასრველი დასი ღმრთის-მოძულეთა, მბოროტებელთა და ღმრთის-მკლველთა შესაკრებელი მტერ გექმნა, ქრისტე, და, ვითარ ცრუ, მი-მო-ჰყვანდი,— აღმგებელი ყოველთა, რომელსა ვადიდებთ!

2. სჯულისა უმეცარნი უსჯულონი, ხმასა წინასწარმეტყველთასა მწურთნელნი ამაოდ, ცხოვრებრ მიგზიდვიდეს ყოველთა უფალსა უსამართლოდ სიკვდიდ, რომელსა ვადიდებთ!

3. ნათესავთა, ცხოვრების მომცემელი, მწიგნობართა თანა, მოსიკვდიდ, არა-მღვდელთა მათ, განჰსცეს, მონყლულთა შურისა სიბოროტითა, ბუნებით მაცხოვარი, რომელსა ვადიდებთ!

4. მოგიცვეს, ვითარცა ძალთა მრავალთა, სტყველვიდეს, მეუფეო, ყვრიმლის-მცემელობითა გკითხვიდეს, ცილსა შეგწამებდეს შენ! არამედ, შენ ყოველთა დათმენითა ყოველნი აცხოვნენ!

## განმანათლებელი, ხმა ზ

რომელმან ავაზაკი, შენ თანა ჯვარცმული, დღეს ღირს-ჰყავ სამოთხეს, მეუფეო ქრისტე, მომიხსენე შენსა სასუფეველსა! რომელმან ჩვენთვის ჯვარ-ცმა თავს იდევ, უფალო, დიდება შენდა! *სამგზის*

*სახარება თ.*

*და მეყუსეულად „ყოველი სული“ ხმასა ზედა გ*

### დასდებელი „ყოველი სულისა“

#### დასდებელი, თვით-ხმოვანი, ხმა ზ

„პირმშომან ძემან ჩემმან,— ისრაილმან, ორი ბოროტი მედგრობა აღასრულა, რამეთუ: წყარო ესე ცხოვრებისა დამიტევა, დაითხარა თავისა თვისისა ჯურღმული განხვრეტილი, რომელმან ვერ დაიპყრას წყალი! მე ძელსა დამომკიდა, ბარაბა განუტევა! ამას ზედა განჰკვირდა ცაჲ და ქვეყანაჲ და მზემან ნათელი თვისი დაჰფარა! ხოლო შენ, ისრაილ, სიკვდიდ მიმეც და არა შეიკვდიმე! მამაო ჩემო, შეუნდე უგუნურთა!“

#### დასდებელი, თვით-ხმოვანი, ხმა ე

წმიდისა გვამისა შენისა თვითოეულმან მან ასომან ჩვენთვის შეურაცხება დაითმინა: თავმან — ეკლისა გვირგვინი, და პირმან — ნერწყვა, და ღანვთა — ყვრიმლის-ცემა, და ბაგეთა — ძმარი და ნავლელი, და ყურთა — უღმრთოთა მათ გმობა ბოროტი და ყვედრება, ხოლო ბეჭთა — გვემა შოლტითა, ხელმან — ლელწამი, და ყოველმან ხორცმან — განკვართა ჯვარსა ზედა; და კვალად, ნასხამნთა — სამსჭვალნი, და გვერდმან — ლახვრისა წყლულება! რომელმან ივნე ჩვენთვის, მხსნელო, და ვნებათაგან მიხსნენ ჩვენ, კაცთ-მოყვარებისათვის რა გვეზიარე ვნებითა, და დამდაბლდი, ვიდრე სიკვდიდმდე, და აღმამალლენ შენ თანა, ქრისტე, ყოვლად ძლიერო, გვაცხოვნენ და შეგვიწყალენ ჩვენ!

#### დასდებელი, თვით-ხმოვანი, ხმა ე

ჯვარცმა შენი რა იხილეს, ქრისტე, ზარ-განხდილ იქმნეს ცის-კიდენი, და საფუძველნი შეიძრნეს ქვეყანისანი ძლიერებისაგან შენისა! რამეთუ, კადნიერად რა ჯვარს-გაცვეს ჰურიათა, განჰვარდეს ცხოვრებისაგან! და კრეტსაბმელი ტაძრისაჲ ორად განიპო, და მკვდარნი სამარეთაგან აღჰსდგეს! და ასისთავმან, რა იხილა საკვირველება, შეჰსძრუნდა! ხოლო, წინაშე მდგომარე, დედა შენი ჰხმობდა გოდებით: „განვილევი მე ტკივილითა, ჰოი, ძეო და ღმერთო ჩემო, რამეთუ გხედავ შიშველსა და



ჯვართა დასჯილსა!“ რომელი ჯვარს-ეცვ, და დაეფალ, და მკვდრეთით აღდგე, ქრისტე, ყოვლისა მპყრობელო, უფალო, დიდება შენდა!

### დასდებელი, თვით-ხმოვანი, ხმა ა

„განმძარცვეს სამოსელი ჩემი უღმრთოთა! და შემოსეს ქლამინდი საბასრობელი! და დამადგეს გვირგვინი ეკლისა თავსა! და მომცეს ლელწამი ხელსა მარჯვენესა! და მცემდეს და მბასრობდეს მე! ხოლო, მე, სულ-გრძელებით თავს-ვიდევ ესე ყოველი! არამედ, ვჭქმენ ცხოვრება სოფლისა, და ეშმაკისა შემუსრვა საუკუნო, გუნდითურთ მისით!“

### დასდებელი, თვით-ხმოვანი, ხმა ა

„მივჰსცენ, ცხოვრებისათვის წარწყმედულთასა, ბეჭნი ჩემნი გვემასა! და პირი ჩემი არა მივაქციე მე წერწყვისაგან! და პილატეს საყდართა წარვსდეგ! და დავითმინე ჯვარსა ზედა დამსჭვალვა უმსჯავროდ,— კაცთა ნათესავისა განწირულისა ხსნისათვის, და ჯოჯოხეთს დასჯილთა სულთა გამოსხნად!“ სულგრძელო მეუფეო, დიდება შენდა!

*სახარება ი;*

*ესრეთ დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, მღუდელმან კვერქესი აღვუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა. და სხვანი, ჩვეულებისაებრ. და შემდგომად ასამაღლებელისა რამეთუ ღმერთი წყალობისა. და მეყვსეულად:*

*სახარება ია.*

### დასდებელი „აღვივსენითსა ზედა“

### დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ა

ყოველნი ბუნებანი იცვალეობდეს ძრწოლით, რაჟამს გხედვიდეს შენ,— ჯვარსა ზედა დამსჭვალულსა უფალსა, ყოვლად ძლიერო! მზე დაბნელდებოდა და ქვეყანა იძრვოდა საფუძველითურთ თვისით! ყოველთა ევნებოდა ყოველთა შემოქმედისა თანა დდეს! რომელმან ნებსით თვისით თავს-იდევ ჩვენთვის, სულგრძელო მეუფეო, დიდება შენდა!

### ფსალმუნის მუხლი

განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი!

### დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ა

რასა იზრახა ცუდი ერმან უღმრთომან?! რასათვის-მე ცხოვრება დაბადებულთა სიკვდილითა დაჰსაჯა ჯვარისა მიერ?! დიდი საკვირველი!— რამეთუ, შემოქმედი ცათა

და ქვეყანისა უღმრთოთა ხელსა მიეცა ჩვენთვის და ჯვარსა ზედა ამაღლდა, რათა  
ჯოჯოხეთისა დასჯილნი იხსნეს! სულგრძელო მეუფეო, დიდება შენდა!

### ფსალმუნის მუხლი

და მცეს მე საჭმელად ჩემდა ნავლელი, და წყურვილსა ჩემსა მასვეს მე ძმარი!

### დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ზ

დღეს, გხედვიდა რა უბინო დედოფალი ჯვარსა ზედა, სიტყვაო მხოლოდ-შობილო,  
დედობრივნი ნაწლებნი მისნი მწარედ მოეწყვოდეს! და გულითა ღმობილითა სულთ-  
ითქმიდა! და სიღრმითა სულისათა ჰხმობდა გოდებით, დაბძარული ცხელთა ცრემლთა  
მხურვალეთათა: „ჰოი მე, შვილო! თვალთა ჩემთა ნათელო! რასათვის აღივსე  
ტკივილითა ესრეთ, ვითარცა რა კაცი?! ხოლო მე მწარედ მეღმის შენთვის,  
მიუწომელო! უფალო, დიდება შენდა!“

### ფსალმუნის მუხლი

ხოლო ღმერთმან, მეუფემან ჩვენმან წინა საუკუნეთამან, შეჰქმნა ცხოვრება შორის  
ქვეყანისა!

### დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ა

გხედვიდა ძელსა ზედა დამბადებელსა დამსჭვალულსა, და ჰხმობდა მშობელი შენი:  
„სადა არს, ძეო ჩემო, შევნიერება შენი განუცდელი?! ვერ თავს-ვიდებ უმსჯავროდ  
მოკლვასა შენსა, ტკბილო! არამედ, სრულ-ჰყავ მოწყალეებათა შენთა უფსკრული, და  
აღდეგ, რათა ვიხილო შენი სამისა დღისა აღდგომა დიდებული და თაყვანის-ვჰსცე!“

### დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ზ

უფალო ღმერთო, აღსლვასა შენსა ჯვარად, ძრწოლა შეედვა ყოველთა  
დაბადებულთა, არამედ სულგრძელება შენი არა უტევებდა ჯვარის-მცმელთა მათ  
შთანთქმად უწყალოდ ქვეყანასა! ხოლო ქვესკნელსა ნამ-უყვენ, რათა განუტევენეს  
ჯოჯოხეთისა მყოფნი და მრავალ-ჟამ დასჯილნი, და ძრწოლით გერჩდა, ყოვლისა  
შემძლებელო, რამეთუ ცხოვრებად და არა წარწყმედად ქმნილისა შენისა კაცთა  
ნათესავისა მოხვედ, ქრისტე! კაცთმოყვარეო, უფალო, დიდება შენდა!



## დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ჴ

მსაჯულთა მიერ უღმრთოთა განჩინებისა კალამი აღმოიწების და იესო დაისაჯების მსჯავრითა უმსჯავროდთა, ჯვარისა მიერ, და ყოველთა არსთა მის თანა ევნების! არამედ, რომელმან ივნე ჩვენთვის ბუნებითა ხორცთადათა, სახიერო უფალო, დიდება შენდა!

### დასდებელი, ხმა ჴ

იხილა რა გლოვა ქალწულისა და მღუღარენი ცრემლნი მისნი, ქრისტემან, ჯვარსა ზედა ვნებულმან, ესრეთ ეტყოდა სიტკბოებით: „რასა სცრემლოდ, დედაო? რად ემსგავსები დახსნილთა დედათა? გულის-ხმა-ჰყავ, რამეთუ სიკვდილითა და ვნებითა ჩემითა ჯოჯოხეთით ვიხსნი ადამს და მის თანა დასჯილთა მათ სულთა, და ღმრთეება ჩემი შეუხებელ არს ვნებათა ამათგან კაცობრივთა! ამისთვის, განიშორე გლოვაჲ, დედაო, და იტყოდე, ვითარმედ: „ნებსით ივნო ძემან და მეუფემან ჩემმან!“

### დასდებელი, ხმა ჴ

კვალად ეტყოდა მაცხოვარი წმიდასა ღვთისმშობელსა ესრეთ, ვითარმედ: „განაგდე შენგან გლოვა, დედაო, რამეთუ უცხო არს შენგან გლოვა და გოდება, ვითარცა იგი ცხადჰყოფს სახელი შენი, და რამეთუ, ჭეშმარიტად, სახარულევან გენოდების! ამისთვისცა, ნუ დაჰფარავ სიხარულსა ჯვარცმისა ჩემისასა, გოდებათა მიერ, ჰოი, ყოვლადბრძენო, დედაო და ქალწულებით მშობელო ჩემო, და ესრეთ ღაღადებდი სიხარულით და მადლობით, ვითარმედ: „ნებსით ივნებს ღმერთი, ცხოვრებად ყოვლისა სოფლისა!“

### დასდებელი, ხმა ჴ

ნუ აჩვენებ მწარედ ვნებისა ამის ჩემისა ბრწყინვალესა და ტკბილსა ღღესა, კურთხეულო დედაო, რომელი ესე ცხოვრებისა მიზეზ ექმნების სოფელსა და დასწავს ცეცხლებრ მტერსა გუნდითურთ მისით, და რამეთუ სიტკბოება საღმრთო გარდამოვხედ შენ ზედა და, სიტყვამან ღმრთისამან უხორცომან, ხორცი შევისხენ შენგან, ვითარცა ვინებე, რომლითა იგი ვივნებ და რომლითა ვაცხოვნებ კაცთა! ამისთვის, გიხაროდენ სასოებითა აღდგომისათა, რამეთუ ღმერთი ბრწყინვალედ აღვდგე საფლავით და გადიდო შენ!“

*ესრეთ სახარება იბ.*

*ესრეთ კეთილ არს აღსარება უფლისა. წმიდაო ღმერთო*



## ტროპარი, ხმა დ

მომიყიდენ ჩვენ წყევისაგან სჯულისა პატიოსნითა მით სისხლითა შენითა, ჯვარსა დაემსჭვალე, სახიერ, და ლახვრითა განიგმირე, და კაცთა უკვდავება აღმოუცენე! მაცხოვარო და მხსნელო, სულგრძელო უფალო, დიდება შენდა!

*ესრეთ კვერეესი [მრჩობლი] ჩვეულებისაებრ და განტევება. ხოლო პირველსა ჟამსა ან არა შევჰსძინებთ, არამედ, მეორესა ჟამსა დღისასა.*

## სამეუფო ჟამნები

### ტროპარი, ხმა ა

ჯვარცმითა შენითა, ქრისტე, განიგმირა მძლავრი და დაითრგუნა ძალი მტერისა, რამეთუ, არა ანგელოსმან, არცა კაცმან, არამედ თავადმან უფალმან მაცხოვრენ ჩვენ, დიდება შენდა!

## ფსალმუნის მუხლი

რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი?

### ტროპარი, ხმა ჭ

ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგვარე, ქრისტე მეუფეო, და ვითარცა კრავი უმანკო, დაემსჭვალე ჯვარსა ზედა უსჯულოთაგან, ცოდვათა ჩვენთათვის, კაცთმოყვარე!

## ფსალმუნის მუხლი

შეითქვნეს მეფენი ქვეყანისანი და მთავარნი შეჰკრბეს ერთად უფლისათვის და ცხებულისა მისისათვის!

## წარდგომა საწინასწარმეტყველოსი, ხმა დ

გულმან მისმან შეიკრიბა უსჯულოება თავისა თვისისა!

*მუხლი: ნეტარ არს, რომელმან გულის-ხმა-ჰყოს გლახაკისა და დავრდომილისა!*

### ტროპარი, ხმა ვ

უფალო, სიკვდიდ დაგსაჯეს შენი ჰურიათა, ცხოვრება ეგე ყოველთა! რომელთა მენამული ზღვაჲ კვერთხითა წიაღ-ვლეს, მათ ჯვარსა შეგმსჭვალეს შენ! და რომელნი

კლდისაგან ჰსმიდეს თაფლსა, მათ ნავლელი მიგიპყრეს შენ! არამედ, ნებსით დაითმინე, რათა ჩვენ განმათავისუფლნე მონებისაგან მტერისა, ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა!

### ტროპარი/დასდებელი, ხმა ღ

შიშისათვის ჰურიათასა, საყვარელმან მეგობარმან შენმან პეტრე უარ-გყო შენ, უფალო, და გოდებით ესრეთ იტყოდა: „ცრემლთა ჩემთასა ნუ დაიდუმებ, რამეთუ ესთქუ დამარხვად მცნებაჲ შენი, სახიერ და მე არა დავიმარხე!“ ჩვენიცა სინანული ეგრეთ მიითვალე, ღმერთო, და შეგვიწყალენ ჩვენ!

### ფსალმუნის მუხლი

სიტყვანი ჩემნი ყურად-იხვენ, უფალო!

### ტროპარი, ხმა ღ

უპირატეს პატიოსნისა ჯვარისა, მხედართა მათ კიცხვისათა, უფალო, ზეცისა ძალნი განკვირდეს, რამეთუ დაიდგ გვირგვინი კიცხვისა, რომელმან ქვეყანა შეამკევ ყვავილითა, და ქლამინდი ბასრობისა შეიმოსე, რომელმან შემოსენ ცანი ღრუბლითა, და ესე ვითარითა განგებულებითა გვეუწყა შენი სახიერება, ღმერთო, და დიდი ნყალობა! დიდება შენდა!

### ფსალმუნის მუხლი

მოხედენ ხმასა ლოცვისა ჩემისასა!

### ტროპარი, ხმა ე

მოსლვასა შენსა ჯვარად, ესრეთ ეტყოდი, უფალო, ჰურიათა: „რომლისა საქმისათვის გნებავსთ მოკლვაჲ ჩემი, ჰოი ჰურიანო? განრღვეულნი თქვენნი განვჰკურნენ და მკვდარნი, ვითარცა ძილისაგან, აღგვადგინენ! წიღოვანი განვჰსწმიდენ, ქანანელი შევიწყალენ! რომლისა საქმისათვის გნებავსთ მოკლვაჲ ჩემი, ჰოი, ჰურიანო? არამედ, იხილეთ, რომელსა უგმირეთ, ჰოი, უსჯულონო!“

### წარდგომა საწინასწარმეტყველოსი, ხმა დ

რამეთუ მე გვემად განმზადებულ ვარ და საღმობა ჩემი ჩემ წინაშე არს მარადის!

*მუხლი:* უფალო, ნუ გულის-წყრომიტა შენითა მახმილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მჰსწავლი მე!

### ტროპარი. ხმა ბ

ჰქმენ ცხოვრება შორის ქვეყანისა, ქრისტე ღმერთო, ჯვარსა ზედა რა უხრწნელი ხორცნი შენნი განიპყრენ და შემოჰკრიბენ ყოველნი წარმართნი, რათა ჰღაღადებდენ: „უფალო, დიდება შენდა!“

### ფსალმუნის მუხლი

მცეს მე საჭმელად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასვეს მე ძმარი!

### ფსალმუნის მუხლი

მაცხოვრე მე, ღმერთო, რამეთუ შევიდეს წყალნი ვიდრე სულად ჩემდამდე!

### ტროპარი, ხმა ე

მოვედით, ქრისტე-შემოსილნო ერნო, და ვიხილოთ, რად იზრახა იუდა მიმცემელმან უსჯულოთა მათ თანა, მხსნელისათვის ჩვენისა! დღეს თანა-მდებ სიკვდილისა უკვდავი სიტყვა ჰყვეს და პილატეს შესმენითა, თხემისა ადგილსა ჯვარსა შემსჭვალეს! ხოლო ვნებული მხსნელი ჩვენი ესრეთ ჰღაღადებდა და იტყოდა: „მიუტევე, მამაო, ცოდვაჲ ესე, რათა ჰსცნან წარმართთა ჩემი მკვდრეთით აღდგომა!“

### წარდგომა საწინასწარმეტყველოსი, ხმა დ

უფალო! უფალო ჩვენო, ვითარ საკვირველ არს სახელი შენი ყოველსა ქვეყანასა ზედა!

*მუხლი:* რამეთუ ამაღლდა დიდად შვენიერება შენი ზესკნელს ცათა!

### ტროპარი. ხმა ზ

ჰხედვიდა რა ავაზაკი წინამძღვარსა ცხოვრებისასა, ჯვარსა ზედა დამოკიდებულად, იტყოდა: „არა თუმცა ღმერთი იყო განხორციელებული ჩვენ თანა ჯვარ-ცმული ესე, არამცა დაეფარნეს მზესა შარავანდენი თვისნი! არამცა ქვეყანა შერყევით შეიმუსრვოდა! არამედ, რომელმან ყოველივე ნებისით თავს-იდევე, მომიხსენე, მხსნელო, სასუფეველსა შენსა!“



## დასდებელი/ტროპარი ხმა ზ

საშინელ იყო ხილვად ცათა და ქვეყანისა შემოქმედი, ძელსა დამოკიდებული! მზე დაბნელდა და დღე ღამედ გარდაიქცა და ქვეყანა დაფარულთა გვამთა განუტეობდა და მკვდართა, რომელთა თანა, თაყვანის-გცემთ, ქრისტე! გვაცხოვნენ ჩვენ!

### ფსალმუნის მუხლი

განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი!

## დასდებელი/ტროპარი ხმა ბ

ოდეს ჯვარსა შემსჭვალეს უსჯულოთა მეუფე დიდებისა, ღალად-ჰყო მათდა მიმართ: „რა შეგანუხენ თქვენ, ანუ რა განგარისხენ თქვენ? პირველ ჩემსა ვინ გიხსნა თქვენ ჭირისაგან? ან, რასა მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა წილ? სვეტისა მის წილ ცეცხლისა, ჯვარსა ზედა მე დამმსჭვალეთ! ღრუბლისა მის წილ ნათლისა, მე საფლავი მითხარეთ! ნაცვლად მანანასა, ნავლელი მასვთ მე და წყლისა მის წილ — ძმარი! ან, მოუნოდო წარმართთა და მათ მადიდონ მე, თანა მამით და სულით წმიდითურთ!“

### ფსალმუნის მუხლი

და მცეს მე საჭმელად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასვეს მე ძმარი!

## წარდგომა საწინასწარმეტყველოსი, ხმა ვ

ჰსთქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: „არა არს ღმერთი!“

*მუხლი:* არავინ არს, რომელმანცა ჰქმნა სიტკბოება!

## წმიდასა და დიდსა პარასკევსა მწუხრად დასდებელი „უფალო, ღალად-გყავ“-სა ზედა

## დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ე

დღეს მეუფე დაბადებულთა წინაშე პილატესსა წარჰსდგების! და ჯვარს-ეცმის შემოქმედი ყოველთა, ნებსით, ვითარცა ცხოვარი, მიგვრილი! და სამსჭვლითა დაიმსჭვალვის! და გვერდსა ლახვრითა განიგმირვის! და ძმრისა და ნავლისა, ღრუბლითა, გემოსა იხილავს, რომელმან უწვიმა მანანაჲ! და ყვრიმლის-ცემასა მიითვალავს მხსნელი ყოვლისა სოფლისაჲ! და ბასრობასა თავს-იდებს თვისთა მონათა მიერ! ჰოი, მეუფისა მონყალება! რამეთუ, ჯვარის-მცმელთათვის ევედრებოდა მამასა: „მამაო, მიუტევე ამათ შეცოდება ესე, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან სიცრუვით, სჯულისა გარდამავალნი!“



### დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ბ

ჰოი, ვითარ უსჯულომან შესაკრებელმან მეუფე დაბადებულთა დასაჯეს სიკვდილ და არა შეიკდამეს ქველის-მოქმედებათა მისთაგან, რომელთა წინათვე მოახსენებდა და ეტყოდა მათ, სიტკბოებით და წყალობით: „ერო ჩემო, რაჲ შეგანუხენ თქვენ? არა ნიშთა საქმითა აღვავესე ჰურისატანი და არა სამარეთაგან, ხელმწიფედ ბრძანებითა, მკვდარნი აღვადგინენ? არა ყოველნი სენნი და უძღურებანი განვჰკურნენ? რაჲსა მომაგებთ მე ბოროტსა კეთილისა წილ? — ნაცვლად კურნებათა — მომწყლავთ მე?! ნაცვლად ცხოვრებისა — მომკლავთ მე და ჯვარსა ზედა მომკიდებთ მე, ვითარცა ძვირის-მოქმედსა,— ქველის-მოქმედსა თქვენსა და მაცხოვარსა, და მსგავსად უსჯულოსა — სჯულისა-მომცემელსა და მწყალობელსა მეუფესა, ვითარცა დასასჯელსა?! ვაი თქვენდა, უღმერთონო და ყოველითურთ უსჯულონო!“ — რომელთა სიბრმისაგან გვიხსნენ, ქრისტე, სულგრძელო უფალო, დიდება შენდა!

### დასდებელი თვითხმოვანი, ხმა ე

საშინელი და საზარელი საიდუმლო იხილვების დღეს, რამეთუ: შეუხებელი შეიპყრობვის! და შეიკრვის ადამის წყევისა დამხსნელი! და გულთა და გონებათა განმკითხველი და მსაჯული უმსჯავროდ განიკითხვის! და საპყრობილე შეიცავს, რომელმან პყრობილ-ჰყო უფსკრული! და პილატეს წინაშე წარჰსდგების, რომელსა ძრწოლით ჰმსახურებენ წესნი ზეცისა ძალთანი! ყვრიმლის-ცემასა თავს იდებს — ხელითა თვისითა დაბადებულთათა ქვესკნელისა დამხსნელი! და ძელსა ზედა დაისჯების მსაჯული ცხოველთა და მკვდართა! და საფლავსა დაიდების მონისა დამბადებელი! რომელმან ყოველივე თავს-იდევ და ყოველნი გვაცხოვნენ, ჰოი, ძვირ-უხსენებელო, უფალო, დიდება შენდა!

### წარდგომა საწინასწარმეტყველოსი, ხმა დ

განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი!  
*მუხლი:* ღმერთო! ღმერთო ჩემო, მომხედენ მე! რაჲსათვის დამიტყვევებ მე?!

### წარდგომა საწინასწარმეტყველოსი, ხმა დ

საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა!  
*მუხლი:* აღილე ჭური და ფარი და აღდეგ მწედ ჩემდა!

### წარდგომა სამოციქულოსი, ხმა ვ

დამდვეს მე მღვიმესა, ქვესკნელსა, ბნელთა შინა და აჩრდილთა სიკვდილისათა!  
*მუხლი:* უფალო! ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო! დღისა ხმა ვჰყავ და ღამე წინაშე შენსა!





## ალილეუია. ხმა ა

ალლელეუია! ალლელეუია! ალლელეუია!

*მუხლები:*

მაცხოვრე მე, ღმერთო, რამეთუ შევიდეს წყალნი ვიდრე სულად ჩემდადმდე!

ყვედრება დაითმინა სულმან ჩემმან და გლახაკობა!

დაუბნელდენ თვალნი მათნი, რათა არა ჰხედვიდენ!

### დასდებელნი სტიქარონთა ზედა, „მსგავსნი“

#### დასდებელი, ხმა ბ

რაჟამს გარდამოჰხსნა ძელისაგან არიმათიელმან მაცხოვარი, ყოვლითა, მსგავსად მკვდრისა, შეჰმურა და წარჰგრაგნა ტილოსა! მაშინ აღესრულა სჯული განწესებული მკვდართა განხრწნადთა! და შეძრწუნებული, შიშით ამბორს უყოფდა მას და სიხარულით ჰლაღადებდა: „დიდება სიმდაბლესა შენსა, კაცთმოყვარე!“

#### ფსალმუნის მუხლი

უფალი სუფევს, შვენიერება შეიმოსა!

#### დასდებელი, ხმა ბ

რაჟამს დაიდევ საფლავსა შინა, მაცხოვარი ყოველთა, ჯოჯოხეთი შეძრწუნდა და მოქლონნი ბჭეთა მისთანნი შიშით შეიმუსრნეს და სამარენი აღეზვნეს და მკვდარნი აღდგეს საფლავთაგან! მაშინ, ადამ ლაღადებდა: „დიდება სულგრძელებასა შენსა, ქრისტე, მიუწთომელო ღვთაებითა, რომელმან მოწყალებით მიხსნენ, კაცთმოყვარე!“

#### ფსალმუნის მუხლი

და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას!

#### დასდებელი, ხმა ბ

რაჟამს დაიდევ საფლავსა ხორცითა, რომელსა გენება შეკრულთა ხსნად, რომელი ხარ ღმერთი ბუნებით, გარე-შეუწერელი და მიუწთომელი, რომელმან სიკვდილი დაჰხშენ და ჯოჯოხეთისა მოქლონნი შეფქვენ, საუნჯეო ყოველთაო, ქრისტე მეუფეო, მაშინ საღმრთო ესე შაბათი კურთხეულ-ჰყავ და დიდებულ, რომლითა ვიხილეთ ნათელი შენისა მის დიდებისა!



## ფსალმუნის მუხლი

სახლსა შენსა ჰშვენის სინმიდე, უფალო, სიგრძესა შინა დღეთასა!

### დასდებელი, ხმა ბ

რაჟამს ესმა ზეცისა ძალთა ყვედრებაჲ შენი უღმრთოთა მიერ, მაცხოვარ, და ძელსა ამაღლებაჲ და ლახვრითა განგმერაჲ და სამარესა, ვითარცა მკვდრისა, დადებაჲ და დაბეჭდვაჲ საფლავსა შინა, მაშინ განკვირვებით ხმა-ჰყვეს: „დიდება შენდა, ქრისტე, რომელმან თავს-იდევ სიმდაბლით ვნებად კაცთათვის, კაცთმოყვარე!“

### დასდებელი, ხმა ბ

შენ, ქრისტე, რომელმან შეიმოსე ნათელი, ვითარცა რა სამოსელი, გარდამოგხსნა დღეს იოსებ ძელისაგან, ნიკოდიმოსის-თანა! და გიხილა რა შენ მკვდრად, უსულოდ, განშიშვლებული, გულითა ლმობიერითა მოწლედ ჰგოდებდა და ესრეთ იტყოდა: „ჰოი! იესო! ტკბილო! ყოველთა მეუფეო! რომელი ეგე, მზის-თვალმან გიხილა რა ჯვარსა ზედა ვნებულად, წყვდიადი შეიმოსა! ხოლო ქვეყანა ჰქოთებდა! და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისა ორად! არამედ, ან გხედავ ჩემთვის მომკვდარსა! და ვითარ შეგმურო, ჰოი, ღმერთო ჩემო?! ანუ ვითარ დაგმარხო შენ?! ანუ რომლითა ხელითა შევეხო უხრწნელთა ხორცთა შენთა და წარვგრაგნო იგი ტილოჲთა?! ანუ ვითარი შესხმა და გალობა უღალადო განსლვასა შენსა? ვადიდებ წმიდათა ვნებათა შენთა! უგალობ ჯვარცმასა და დაფლვასა შენსა! ვაქებ აღდგომასა შენსა, ცხოველს-მყოფელო ყოველთაო და გიღალადებ: უფალო, დიდება შენდა!“

### ტროპარი, ხმა ბ

შვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოჰხსნა უხრწნელნი ხორცნი შენნი, ქრისტე, და არმენაკითა წმიდითა წარჰგრაგნა; სუნნელებითა შემურვილი, ახალსა საფლავსა დაგდვა!

### ტროპარი, ხმა ბ

მენელსაცხებლეთა დედათა, საფლავსა ზედა, ანგელოსი უღალადებდა: „ნელსაცხებელი მოკვდავთათვის სახმარ არს! ხოლო ქრისტე — ხრწნილებისაგან უცხო იქმნა!“



წმიდასა და დიდსა პარასკევსა მცირესა სერობასა ზედა  
გოდება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა  
კანონი ჯვარცმისათვის უფლისა  
ხმა ვ

გალობა ა

*ძლისპირი*

მოკვეთილი ჰკვეთს მენამულსა და ღელვათა მზრდელი, ზღვისა განხმების, სიღრმე იგი — უჭურველისათვის სავალ და ჭურვილისა — საფლავ ქმნილი! ხოლო გალობა საღმრთო ილაღადებოდენ: [ილაღადებოდინ:] „დიდებულ არს დიდებით, ქრისტე, ღმერთი ჩვენი ცხოველი!“

1. დაბადებულთა შენთა ცხოვრება ინებე, მაცხოვარო ჩვენო, ამისთვისცა დამოეკიდე ჯვარსა და სამსჭვალთა დაემსჭვალე! ხოლო უხრწნელი დედა შენი, მგლოვარე, გულითა შემწვარი, მეუფეო, ჰხედვიდა ნაკადულსა სისხლთა შენთასა!

2. თავი რა საღმრთო მიიდრიკე შენ და ძილი,— ცხოველს-მყოფელი ბუნებისა ჩვენისა, მიიძინე ძელსა ზედა, მაცხოვარო ჩემო, ყოველნი არსნი შერყეულ იქმნეს! ჰსძრწოდეს ანგელოსნი, გიხილეს რა, ხორცითა ვნებად, ზეცისა ძალთა!

3. მყის მიისწრაფა მშობელმან შენმან, ფარულად მოწაფისა შენისა იოსებისა და საიდუმლოდ, გოდებით ევედრებოდა, რათა უხრწნელი გვამი შენი მოწლედ გამოითხოვოს მსაჯულისა მისგან სიცრუვისა,— პილატე განვრდომილისა:

4. „მიეც მაღლი ესე უცხოებასა და უღონოებასა შინა შთავრდომილსა, და დევნილსა უსამართლოთა მიერ, და მეცნიერთა და მეგობართა ყოვლად დატევებულსა, და ერთისა თანა მოწაფისა, ჰოი, იოსებ, გლოვით მოწყლულსა!“

5. „მისლვად შეჰკადრე პილატეს მიმართ და ნუ ორგულე გამოთხოვად უხრწნელსა გვამსა ქრისტეს მაცხოვრისასა! და გარდამოჰხსენ ძელისაგან და დაჰსდევ საფლავსა შინა, რათა არა კვალად უგმირონ მას უწყალოთა გვერდსა ლახვრითა!“

გალობა გ

*ძლისპირი*

შენ, დამკიდებელი წყალთა ზედა ქვეყანისა, გიხილეს რა შექმნილთა დამოკიდებული თხემისა ადგილსა, მრავლისა მიერ განცვიფრებისა შეირყეოდეს და გიგალობდეს: „არა-ვინ არს წმიდა, შენსა გარეშე, არცა მართალ, უფალო, თვინიერ შენსა!“

1. „ვერ-ვინ მკადრე არს გამოთხოვად ხორცთა უხრწნელთა მოძღვრისათა! აჰა, ძელსა დამოკიდებულ არს, — მკვდარი, შიშველი, დატევებული და ყვედრებათა ზედა დასხმული! არა ვისგან შეწყალებულ არს! უფროსლა განიგმირა ლახვრითა!“



2. „უარ-ჰყო პირველად პეტრე და დაუტევეს მოძღვარი ყოველთავე! გელმოდენ ჩემთვის, კეთილ სახეო, და გამოთხოვით გარდამოჰხსენ შენ ხორცი მეუფისა ჩვენისა, რათა მარტოებით ვჰსტიროდე შვილსა საყვარელსა დედა შეყვარებული!“

3. ჰხედვიდა რა გლოვად მშობელსა შენსა იოსებ, მეუფეო, და ესმოდა სიტყვანი მისნი, სალმობიერად, თანა-ლმობითა, გლოვად აღიძრა და მიისწრაფა, რათა ღირსებით გამოითხოვნეს ხორცნი შენნი ყოვლად უხრწნელნი!

4. წამის ყოფასა შენსა ერჩდა და მიანიჭნა ხორცნი შენნი საღმრთონი პილატე! და გარდამოხსნა ძელით იოსებ, ნიკოდიმოსის თანა, და მიანვინა მინასა ზედა. ქვეყანა ჰსძრწოდა და საფლავთაგან მკვდართა მოსცემდა მოსწრაფებით!

## გალობა დ

### ძლისპირი

ჯვარსა ზედა რა საღმრთოსა წარმოცალიერება შენი წინათ იხილა ამბაკომ, ლაღად-ჰყო შიშით: „განჰსჭერ, სახიერ, შენ ძლიერთა სიმტკიცე, მზიარებელმან ჯოჯოხეთისა შინათამან, ვითარცა ღმერთმან ყოვლად ძლიერმან!“

1. შეგიტკბო შენ უბინომან და ამბორს უყოფდა წყლულებასა უხრწნელთა ხორცთა შენთასა და გეტყოდა შენ: „შენ თანა მოვკვდები! რამეთუ, ვერ ვიტვირთავ ხილვად, შვილო, ნაკადულსა მაგას ყოვლად უბინოთა სისხლთა შენთასა!“

2. მოეხვია მუხლთა შენთა მშობელი შენი, ქრისტე მეუფეო, გოდებით ამბორს-უყოფდა ხელთა და გვერდსა, და შეიტკობდა შენგან დამომწოლვარესა სისხლსა და საცხებელ თვისსა ჰყოფდა, მიმოდათესვითა გონიერთა!

3. უხმოთა ბაგეთა შენთა ზედა დაგხჰსნა ბაგენი თვისნი ტირილით, ქრისტე მაცხოვარ, მშობელმან შენმან: „ოდესმე ქვეყანასა ზედა მავალსა, მეტყველსა, ცხოველსა, ღმერთო ჩემო, ვითარცა კაცსა და ღმერთსა ჩემსა!“

4. „ძღვენი მოიღეს შენდამი, მეუფეო, და ძრწოლით თაყვანის-გცეს ჩჩვილსა, ვითარცა რა ღმერთსა, სპარსთა მეფეთა! ხოლო აწ, — საფლავისა სუნელი მოუხვამნნ ნიკოდიმოსს, ვითარცა მკვდრისა! ვითარ შეგმურო შენ, ღმერთო ჩემო?“

## გალობა ე

### ძლისპირი

შენდა აღვიმსთობ, — მონყალებისათვის დაცემულისა მის, დაცალიერებულისა და ვნებათადმდე უვნებელად შთამოსრულისა! სიტყვაო ღვთისაო, მომეც მე მშვიდობა, კაცთ-მოყვარე!

1. „ვერ თავს-ვიდებ მე უხმობასა შენსა, რომელსა განოებდ, ჩჩვილებრ წიაღთა ტვირთულსა! უკეთუ შთახვალ ჯოჯოხეთს, ადამის მიმართ, შთამოგყვე მეცა და ევას მიუთხრნე საიდუმლონი!“



2. „ვითარ ვიტვირთო ტკივილი ნაწლევთა, შვილო, ვხედვიდე რა თვალთა შენთა, ძელსა ზედა, მირულებულთა, რომელთა პირველ ვხედვედი შვენიერთა სიკეთითა, თვალთა-მყოფელთა ბრმათასა?!“

3. „თანა-შთამოგყვე ჯოჯოხეთსაცა შინა, ხილვად დიდებისა შენისა, ჰოი, ძეო ჩემო, რამეთუ აქა ვერ თავს-ვიდებ უსულოთა ასოთა შენთა უძრავთა და წყლულთა ამბორის-ყოფად!“

## გალობა ვ

### ძლისპირი

1. დაცულ იქმნა, გარნა არა დაშთა მხეცისა მკერდსა იონა, რამეთუ, სახედ შენისა ვნებისა და დაფლვისა, ვითარცა სასძლოთ, აღმოჰხდა ვეშპით და უღალადებდა იგი მხედართა მათ: „მცველნო, ამაონო, ცრუნო, წყალობა თქვენი დაუტევეთ თქვენ დღეს!“

1. „მაცხოვარი ვითარ უარ-ჰყავ შენ, ჰოი, პეტრე, აღსარებული შენ მიერ ქრისტედ, ძედ ღმრთისა ცხოველისა?! და ესრეთ დაუტევე ჯვარცმული, ძელსა ზედა უსულო და უსახური?! არცა-ლათუ დაფლვა მისი ისწრაფე შენ?!“ — უბინო დედა გოდებით ჰღალადებდა!

2. მოუნოდდა მენელსაცხებლეთა სიტყვაჲ უხრწნელი დედა: „მოვედით, ჰოი, მეგობარნო ჩემნო! და ჰსტიროდეთ მოძღვრისა ხორცთა მრავალ-გვემულთა! მოვედით! ჰხედვედით პირსა უხმოსა, ბაგეთა და თვალთა უძრავთა, რომელთა ხელითა უპყრიეს ყოველი სული!“

3. „მეც მე სიტყვა ტკბილთა ბაგეთაგან, სიტყვაო!“ — ტირილით ჰხმობდა უბინო: — „ვერ ვიტვირთავ მე უსულოდ დადებასა შენსა საფლავსა შინა, ძეო ჩემო, მკვდართა აღმადგინებლო! მოიხილე, ტკბილო, ვითარ ესე განვლო მახვილმან შენმან მგზებარე გული ჩემი!“

4. „მოისწრაფეთ ძალთა ზეცისათა! იხილეთ ხორცნი ქრისტესნი, — მეგობართა და მეცნიერთა და თავთა მონაფეთა მიერ დატევებული! აჰა, მხოლო ვგოდებ შვილსა მოკლულსა! — ჩემ თანა მონაფით მკერდსა მიყრდნობილით და საყვარელით, განგმერილი გულითა!“

## კონდაკი, ხმა ჳ

რომელი ჩვენთვის ჯვარს-ეცვა, მოვედით, ერნო, უგალობდეთ მას! იხილა იგი მარიამ ჯვარსა ზედა და ჰსთქვა: „დაღაცათუ ჯვარსა ზედა გიხილე, შენ ხარ ძე ჩემი და ღმერთი ჩემი, ყოვლად ძლიერი, კაცთ-მოყვარე და მაცხოვარი!“



## იკოსი, ხმა ჭ

თვისსა კრავსა რა მიჰხედვიდა ტარიგი,— დაკლვად მიყვანებულსა, შეუდგა, მარიამ, მგლოვარე სხვათა მათ თანა დედათა, ამათ მხმოზი: „სადა წარხვალ, შვილო? რასათვის სრულ-ჰყოფ მალიადსა სერობასა? ანუ სხვა ქორნილი იქმნების კანას და მუნ მსწრაფლობ ან, რათა წყლისაგან ღვინო წდეულ-ჰყო მათთვის? თანა მოგყვე, შვილო და თანა დავადგრე! მეც სიტყვა, სიტყვაო! ნუ დუმილით თანა-წარმხდები, რომელი უბინოდ მცევდ, ძეო და ღმერთო ჩემო!“

## გალობა ზ

### ძლისპირი

ჰოი სასწაული! — სახმილსა შინა გამომხსნელი ღირსთა ყრმათა აღისაგან, სამარესა მკვდრად უსულოდ დაიდების, მაცხოვრად ჩვენდა! რომელსა უღალადებთ: „ღმერთო, მხსნელო ჩვენო, კურთხეულ ხარ შენ!“

1. ზეცით გარდამო ანგელოსნი განკვირვებულნი ჭვირობით ჰხედვიდეს შვილსა მკვდარსა, წიაღთა შინა მშობელისათა, ძრწოლით ხილულსა მათგან წიაღთა შინა მამისათა, მკვდართა ცხოველს-მყოფელსა!

2. მოსწრაფით მორბიოდეს ყოველნი ანგელოსთა წესნი ხილვად დედისა მკლავითა შეცუღლსა ძესა, უსულოდ მდებარესა! და კვალად იქცეს მიერ, — შეძრწუნებულნი საღმობიერისა მისთვის სახილავისა!

3. საიდუმლოსა შობისასა მომრთმელსა მისდა, ქალწულმან ჰრქვა: „მეუფეო! ჰოი მე! გაბრიელ! სადა არს „გიხაროდენ“?! სადა ხარება?! სადა „კურთხეულ არსი“?! ნათელი საშოსა დამიშრტა ჯვარსა ზედა!“

4. „რასა ვსჭტიროდე? — ყვრიმლის-ცემასა შოლტითურთ და ნერწყვასა ბასრობითურთ? ანუ ჯვარცმასა შენსა, ქრისტე, ნავლითურთ? ანუ ლახვარსა? ან ვითარ მიგანწინო საფლავსა, ვითარცა მკვდარი, ჰოი, ძეო ჩემო?“

## გალობა ჭ

### ძლისპირი

განჰკრთი, განცვიფრებით, ცაო და შეირყინით მიწისა საფუძველნი! რამეთუ, შეირაცხების მკვდართა — მყოფი მაღალთა შინა და კნინსა საფლავსა ესტუმრების! ყრმანი აკურთხევდით მას! მღვდელნი უგალობდით მას! ერნი უფროსად ამაღლებდით მას, უკუნისამდე!

1. „ვითარ ერმან უსჯულომან, შვილო ჩემო, ტკბილო, შიშველი ძელსა ზედა, უწყალოდ გიხილეს და მხეცებრივ მიგცემდეს მძვინვარებით და განჰგმირეს საღმრთო გვერდი შენი?! ვითარ არა დაიხსნეს არსნი და შეირყინეს?! არამედ, ხელმან შენმან დაიცვნა ყოველნი, სიტყვაო!“



2. „განჰსცვიფრდინ ცა და ქვეყანა და შარავანდედნი დაიფარენ, მზის-თვალო! რამეთუ, ძელსა ზედა დაჰხდა ღღეს, რომელმან საშოთ ჩემით აღმოსლვა სათნო-იყო, ვითარცა უწყის! არამედ, აღდგინება ჰნებავს პირველ მომწყდრისა! ვერ თავს ვიდებ მე ტკივილთა სალმობისათა!“

3. „ჰოი, ძეო და ღმერთო ჩემო! ვითარ-მე დავჰფარნე ბნელსა საფლავსა შინა, საფლავთა ცარიელ-მქმნელნი ხორცნი? ანუ, ვითარ მივიქცე ცალიერი ხელითა? ვერ თავს-ვიდებ შენგან განყენებასა, ძეო ჩემო! არამედ, შენ თანა მოვკვდე, თანა შთამოსლვად ჯოჯოხეთს!“

4. „ჰე, თუმცა მესმა ხმა შენი, ჰოი, ტკბილო იესო!“ — ჰხმობდა უბინო დედა, — „და შეძრნე ბაგენი შვენიერნი და თვალნი ბრწყინვალენი, ყოვლითურთ შემკულნი სიკეთითა! ჰე, თუმცა აღდგომილი გიხილე, ძემო ჩემო, და აღვივსო მე ცრემლთა წილ სიხარულითა!“

## გალობა თ

### ძლისპირი

1. „ნუ მტირ მე, დედაო, მხილველი საფლავსა შინა ძისა, რომელი მუცლად-მიღე თვინიერ თესლისა! რამეთუ, აღვდგე და ვიდიდო მე ღმრთაებრ! და მაღალ-ვჰყვენე დიდებით, სარწმუნოდ და სურვილით, დაუცხრომელად შენნი მგალობელნი!“

2. „სახვეველთა წილ სიდონნი გამოსიან, ჰოი, ძეო ჩემო! ბაგისა წილ — საფლავსა ბნელსა მიგანვინეს შენ, ჰოი, ნათელო ჩემო! სძისა წილ — ვასხურებ ცრემლთა უხრწნელთა მაგათ ბაგეთა! და ცხოველთა მათ სიტყვათა შენთა წილ, მკვდარსა გეზრახები!“

3. „ნუ მტირ მე, დედაო ჩემო, მკვდარებრ საფლავსა შინა, რომელსა ღვთაებრ მხედვედ სახვეველთავე შინა, მოგვთა მიერ სპარსთა თაყვანის-საცემელად! ანგელოსთა გესმა „მაღალთა ზე დიდება“! რამეთუ, აღდგომილი, პირველვე გეჩვენო შენ!“

4. „წარჰხვედ, შვილო, ჯოჯოხეთად და ღვთაებრ აღადგინენ ადამიანთაგანნი იგი-თვით მის ადამის-თანა, განხრწნად მიცემულნი! ხოლო მე, დედობრივ ვჰსჯდე აწ, სხურებად ცრემლთა კარსა საფლავისასა, გოდებით! და ვსტიროდე, ვიდრემდის აღჰსდგე შენ!“

5. „ჰოი, სანატრელო დედაო! ნურღარა საფლავისა ბჭეთა ასხურებ ცრემლთა სიმწარით და გოდებით! რამეთუ აწ აღვდგე და ვიდიდო! და გრქვა ძნობით: „გიხაროდენ!“ და გამოუთქმელად რა მხიარულ-გყო, ავმალღდე ზეცადვე მამისა!“

# სარჩევი

ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია ..... 3

## წმიდასა და დიდსა პარასკევსა სამეუფეო ჟამები

### მეორე ჟამი

1. ჯვარცმითა შნითა, ქრისტე - ტროპარი. ხმა ა ..... 7
2. დღეს ტაძრისა იგი კრეტსაბმელი - დასდებელი თვით-ხმოვანი პირველისა ჟამისა. ხმა ჭ ..... 10
3. რად აღიძრნეს წარმართნი - ფსალმუნის მუხლი ..... 12
4. ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგვარე - დასდებელი თვით-ხმოვანი პირველისა ჟამისა. ხმა ჭ ... 12
5. შეითქვნეს მეფენი ქვეყანისანი - ფსალმუნის მუხლი ..... 14
6. უსჯულოთა, შენთა შემპყრობელთა - დასდებელი თვით-ხმოვანი პირველისა ჟამისა. ხმა ჭ ..... 15
7. გულმან მისმან შეიკრიბა უსჯულოება - წარდგომა სანინასწარმეტყველოსი. ხმა დ ..... 18

### მესამე ჟამი

8. უფალო, სიკვდიდ დაგსაჯეს შენ - ტროპარი. ხმა ვ ..... 20
9. შიშისათვის ჰურიათასა - დასდებელი. ხმა ჭ ..... 23
10. სიტყვანი ჩემნი - ფსალმუნის მუხლი ..... 25
11. უპირატეს პატიოსნისა ჯვარისა - დასდებელი. ხმა ჭ ..... 25
12. მოხედენ ხმასა - ფსალმუნის მუხლი ..... 27
13. მოსლვასა შენსა ჯვარად - დასდებელი. ხმა ე ..... 28
14. რამეთუ მე გვემად განმზადებულ ვარ - წარდგომა სანინასწარმეტყველოსი. ხმა დ ..... 31

### მეექვსე ჟამი

15. ჰქმენ ცხოვრება შორის ქვეყანისა - ტროპარი. ხმა ბ ..... 33
16. ესრეთ ეტყოდი, უფალო, ჰურიათა - დასდებელი. ხმა ჭ ..... 35
17. მცეს მე საჭმელად ჩემდა ნავლელი - ფსალმუნის მუხლი ..... 38
18. სჯულისმდებელნი ისრაილისანი - დასდებელი. ხმა ჭ ..... 39
19. მაცხოვრე მე, ღმერთო - ფსალმუნის მუხლი ..... 42
20. მოვედით, ქრისტე-შემოსილნი ერნი - დასდებელი. ხმა ე ..... 43
21. უფალო! უფალო ჩვენო - წარდგომა სანინასწარმეტყველოსი. ხმა დ ..... 46

### მეცხრე ჟამი

22. ჰხედვიდა რა ავაზაკი - ტროპარი. ხმა ჭ ..... 48
23. საშინელ იყო ხილვად - დასდებელი. ხმა ზ ..... 52
24. განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის - ფსალმუნის მუხლი ..... 54
25. ოდეს ჯვარსა შემსჭვალეს - დასდებელი. ხმა ბ ..... 55
26. და მცეს მე საჭმელად ნავლელი - ფსალმუნის მუხლი ..... 59
27. ჰსთქვა უგუნურმან - წარდგომა სანინასწარმეტყველოსი. ხმა ვ ..... 60
28. მოვედით მისა და განათლდით - ფსალმუნის მუხლი ..... 62

## წმიდასა და დიდსა პარასკევსა მწუხრად

### დასდებელნი „უფალო, ღაღად-ვყავ“-სა ზედა

29. დღეს მეუფე დაბადებულთა - დასდებელი. თვითხმოვანი. ხმა ე ..... 67
30. ჰოი, ვითარ უსჯულომან შესაკრებელმან - დასდებელი. თვითხმოვანი. ხმა ბ ..... 72





31. საშინელი და საზარელი საიდუმლო იხილვების დღეს - დასდებელი. თვითხმოვანი. ხმა ე .....	77
32. საშინელი და საზარელი საიდუმლო იხილვების დღეს - დასდებელი. თვითხმოვანი. ხმა ე .....	82
33. საშინელი და საზარელი საიდუმლო იხილვების დღეს - დასდებელი. თვითხმოვანი. ხმა ე .....	86
34. განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის - წარდგომა სანინასწარმეტყველოსი. ხმა დ .....	90
35. ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი - წარდგომა სანინასწარმეტყველოსი. ხმა დ .....	92
36. დამდვეს მე მღვიმესა - წარდგომა სანინასწარმეტყველოსი. ხმა ვ .....	94
37. ალილუია - ხმა ა .....	96
<b>დასდებელნი სტიქარონთა ზედა, „მსგავსნი“</b>	
38. რაჟამს გარდამოჰხსნა ძელისაგან არიმათიელმან - დასდებელი. „ჭრელი“. ხმა ბ .....	98
უფალი სუფევს - ჩასართავი მუხლი ა .....	101
39. რაჟამს დაიდევ საფლავსა შინა - დასდებელი. „ჭრელი“. ხმა ბ .....	102
და რამეთუ დაამყარა სოფელი - ჩასართავი მუხლი ბ .....	105
40. რაჟამს დაიდევ საფლავსა ხორცითა - დასდებელი. „ჭრელი“. ხმა ბ .....	106
სახლსა შენსა ჰშვენის სინმიდე - ჩასართავი მუხლი ბ .....	109
41. რაჟამს ესმა ზეცისა ძალთა - დასდებელი. „ჭრელი“. ხმა ბ .....	110
დიდება; ან და - ხმა ბ .....	113
42. შენ, ქრისტე, რომელმან შეიმოსე ნათელი - დასდებელი. ხმა ბ .....	114
43. შენ, ქრისტე, რომელმან შეიმოსე ნათელი - დასდებელი .....	120
44. შევნიერმან იოსებ - ტროპარი. ხმა ბ .....	125
45. შევნიერმან იოსებ - ტროპარი. ხმა ბ .....	127
46. მენელსაცხებლეთა დედათა - ტროპარი. ხმა ბ .....	129
47. მენელსაცხებლეთა დედათა - ტროპარი. ხმა ბ .....	131

## წმიდასა და დიდსა პარასკევსა [მცირესა] სერობასა ზედა

### გოდება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა

#### კანონი ჯვარცმისათვის უფლისა - ხმა ვ

48. მოკვეთილი ჰკვეთს - ძლისპირი. გალობა ა .....	135
49. მოკვეთილი ჰკვეთს - ძლისპირი. გალობა ა .....	137
50. დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო - ჩასართავი. ხმა ვ .....	139
51. დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო - ჩასართავი .....	139
52. დაბადებულთა შენთა ცხოვრება ინებე - ა ძლისპირის ა გადასათქმელი .....	140
53. თავი რა საღმრთო მიიდრიკე შენ - ა ძლისპირის ბ გადასათქმელი .....	142
54. მყის მიისწრაფა მშობელმან შენმან - ა ძლისპირის გ გადასათქმელი .....	144
55. დიდება - ხმა ვ .....	145
56. მიეც მაღლი ესე - ა ძლისპირის დ გადასათქმელი .....	146
57. ან და - ხმა ვ .....	147
58. მისლვად შეჰკადრე პილატეს მიმართ - ა ძლისპირის ე გადასათქმელი .....	148
59. შენ, დამკიდებელი წყალთა ზედა ქვეყანისა - ძლისპირი. გალობა გ .....	150
60. ვერ-ვინ მკადრე არს გამოთხოვად - გ ძლისპირის ა გადასათქმელი .....	152
61. უარ-ჰყო პირველად პეტრე - გ ძლისპირის ბ გადასათქმელი .....	154
62. ჰხედვიდა რა გლოვად მშობელსა შენსა - გ ძლისპირის გ გადასათქმელი .....	156
63. წამის ყოფასა შენსა ერჩდა - გ ძლისპირის დ გადასათქმელი .....	158
64. ჯვარსა ზედა რა საღმრთოსა - ძლისპირი. გალობა დ .....	160
65a. შეგიტკბო შენ უბინომან - დ ძლისპირის ა გადასათქმელი .....	162
65b. შეგიტკბო შენ უბინომან - დ ძლისპირის ა გადასათქმელი .....	164



66. მოეხვია მუხლთა შენთა მშობელი შენი - დ ძლისპირის ბ გადასათქმელი .....	166
67. უხმოთა ბაგეთა შენთა ზედა დაგხჰსნა ბაგენი - დ ძლისპირის გ გადასათქმელი .....	168
68. ძღვენი მოიღეს შენდამი - დ ძლისპირის დ გადასათქმელი .....	170
69. შენდა აღვიმსთობთ - ძლისპირი. გალობა ე .....	172
70. ვერ თავს-ვიდებ მე უხმობასა შენსა - ე ძლისპირის ა გადასათქმელი .....	174
71. ვითარ ვიტვირთო ტკივილი - ე ძლისპირის ბ გადასათქმელი .....	175
72. თანა-შთამოგყვე ჯოჯოხეთსაცა შინა - ე ძლისპირის გ გადასათქმელი .....	176
73. დაცულ იქმნა, გარნა არა დაშთა - ძლისპირი. გალობა ვ. ხმა ვ .....	178
74. მაცხოვარი ვითარ უარ-ჰყავ შენ, ჰოი, პეტრე - ვ ძლისპირის ა გადასათქმელი .....	181
75. მოუწოდდა მენელსაცხებლეთა - ვ ძლისპირის ბ გადასათქმელი .....	183
76. მეც მე სიტყვა ტკბილთა ბაგეთაგან - ვ ძლისპირის გ გადასათქმელი .....	186
77. მოისწრაფეთ ძალთა ზეცისათა - ვ ძლისპირის დ გადასათქმელი .....	188
78. ჰოი, სასნაული! — სახმილსა შინა გამომხსნელი - ძლისპირი. გალობა ზ .....	191
79. ჰოი, სასნაული! — სახმილსა შინა გამომხსნელი - ძლისპირი. გალობა ზ .....	193
80. ზეცით გარდამო ანგელოსნი განკვირვებულნი - ზ ძლისპირის ა გადასათქმელი .....	195
81. მოსწრაფით მორბიოდეს ყოველნი ანგელოსთა წესნი - ზ ძლისპირის ბ გადასათქმელი .....	197
82. საიდუმლოსა შობისასა მომრთმელსა მისდა - ზ ძლისპირის გ გადასათქმელი .....	199
83. რასა ვჰსტიროდე - ზ ძლისპირის დ გადასათქმელი .....	201
84. განჰკრთი, განცვიფრებით, ცაო - ძლისპირი. გალობა ჴ .....	203
85. განჰკრთი, განცვიფრებით, ცაო - ძლისპირი. გალობა ჴ .....	205
86. ვითარ ერმან უსჯულომან - ჴ ძლისპირის ა გადასათქმელი .....	207
87. განჰსცვიფრდინ ცა და ქვეყანა - ჴ ძლისპირის ბ გადასათქმელი .....	209
88. ჰოი, ძეო და ღმერთო ჩემო - ჴ ძლისპირის გ გადასათქმელი .....	211
89. ჰე, თუმცა მესმა ხმა შენი - ჴ ძლისპირის დ გადასათქმელი .....	213
90. ნუ მტირ მე, დედაო - ძლისპირი. გალობა თ .....	215
91. ნუ მტირ მე, დედაო - ძლისპირი. გალობა თ .....	218
92a. მტირ მე, დედაო - ძლისპირი. გალობა თ „ჭრელი“ .....	221
92b. მტირ მე, დედაო - ძლისპირი. გალობა თ „ჭრელი“ .....	226
93a. ნუ მტირ მე, დედაო - ძლისპირი. გალობა თ .....	231
93b. ნუ მტირ მე, დედაო - ძლისპირი. გალობა თ .....	237
94a. ნუ მტირ მე, დედაო - ძლისპირი. გალობა თ .....	239
94b. ნუ მტირ მე, დედაო - ძლისპირი. გალობა თ .....	246
95. სახვეველთა წილ სიდონნი გმოსიან - თ ძლისპირის ა გადასათქმელი .....	253
96. ნუ მტირ მე, დედაო ჩემო - თ ძლისპირის ბ გადასათქმელი .....	256
97. წარჰხვედ, შვილო, ჯოჯოხეთად - თ ძლისპირის გ გადასათქმელი .....	259
98. ჰოი, სანატრელო დედაო - თ ძლისპირის დ გადასათქმელი .....	262

## დამატება

### ფსალმუნის მუხლები

99. ხმა ე .....	267
100. ხმა ე .....	271
101. ხმა ვ .....	273
102. ხმა ვ .....	276
103. ხმა ბ .....	277
104. ხმა ბ .....	278
105. ხმა ბ .....	279



106. ხმა ბ .....	280
107. ხმა ბ .....	281
108. ხმა ბ .....	282
109. ხმა ზ .....	283
110. ხმა ზ .....	285
111. ხმა ზ .....	287
112. ხმა ე .....	288
113. ხმა ე .....	289
114. ხმა ზ .....	290
115. ხმა ზ .....	292
116. ხმა ზ .....	294
117. ხმა ჭ .....	295
118. ხმა ჭ .....	297
119. ხმა ე .....	298
120. ხმა ე .....	299
121. ხმა გ .....	300
122. ხმა ვ .....	305
123. ხმა ვ .....	307
124. ხმა ვ .....	309
125. ხმა ვ .....	311
126. ხმა ვ .....	313
127. ხმა ჭ .....	314
128. ხმა ჭ .....	316
129. ხმა ჭ .....	318
130. ხმა ვ .....	319
131. ხმა ვ .....	321
132. ხმა ვ .....	323
133. ხმა ჭ .....	324
134. ხმა ჭ .....	326
135. ხმა ვ .....	327
136. ხმა ვ .....	329
137. ხმა ვ .....	330
138. იხილა რა გლოვა ქალწულისა - დასდებელი. ხმა ჭ .....	332
139. კვალად ეტყოდა მაცხოვარი - დასდებელი. ხმა ჭ .....	335
140. ნუ აჩვენებ მწარედ - დასდებელი. ხმა ჭ .....	339
141. რომელი ჩვენთვის ჯვარს-ეცვა - კონდაკი. ხმა ჭ .....	343
142. თვისსა კრავსა რა მიჰხედვიდა ტარიგი - იკოსი. ხმა ჭ .....	345

**Ath. 38 — წმიდა გიორგი მთაწმინდელის მარხვანი**  
განგებად დიდსა პარასკევსა ღამისთვისად („შეხვეტილიანი“) ..... 349

**დიდი პარასკევის საგალობლები** ..... 361

# Contents

International transcription of the Georgian alphabet .....	3
--	---

## At Holy and Great Friday The Royal Hours

### Second Hour

1. When You Were Crucified, O Christ Troparion. Tone 1 .....	7
2. Today the Veil of the Temple - Sticheron. Idiomelon for First Hour. Tone 8 .....	10
3. Why Did the Heathen Rage - Psalm Verse .....	12
4. You Were Led as a Sheep to the Slaughter - Sticheron. Idiomelon for First Hour. Tone 8 .....	12
5. The Kings of the Earth Stood Up - Psalm Verse .....	14
6. Suffering the Transgressors to Lay Hold of You Sticheron. Idiomelon of First Hour. Tone 8 .....	15
7. His Heart Gathered Iniquity to Itself - Prokeimenon of the Prophecy. Tone 4 .....	18

### Third Hour

8. O Lord, The Jews Condemned You to Death - Troparion. Tone 6 .....	20
9. Through Fear of the Jews - Sticheron. Tone 8 .....	23
10. Give Ear to My Words - Psalm verse .....	25
11. When the Soldiers Mocked You, O Lord - Sticheron. Tone 8 .....	25
12. Hearken Unto the Voice of My Prayer - Psalm verse .....	27
13. When You Were Led to Crucifixion - Sticheron. Tone 5 .....	28
14. I Am Ready for Scourging - Prokeimenon of the Prophecy. Tone 4 .....	31

### Sixth Hour

15. O Christ Our God, You Have Worked Salvation - Troparion. Tone 2 .....	33
16. Thus Says the Lord to the Jews - Sticheron. Tone 8 .....	35
17. They Gave Me Gall to Eat - Psalm Verse .....	38
18. O Lawgivers of Israel - Sticheron. Tone 8 .....	39
19. Save Me, O God - Psalm Verse .....	42
20. Come, Christ-bearing People - Sticheron. Tone 5 .....	43
21. O Lord Our Lord - Prokeimenon of the Prophecy. Tone 4 .....	46

### Ninth Hour

22. When the Thief Beheld the Author of Life - Troparion. Tone 8 .....	48
23. A Strange Wonder It Was to Behold the Creator - Sticheron. Tone 7 .....	52
24. They Parted My Garments Among Them - Psalm Verse .....	54
25. When the Transgressors Nailed You - Sticheron. Tone 2 .....	55
26. They Gave Me Gall to Eat - Psalm Verse .....	59
27. The Fool Has Said in His Heart - Prokeimenon of the Prophecy. Tone 6 .....	60
28. Let Us Come to Him and Be Enlightened - Psalm Verse .....	62

## At Holy and Great Friday Vespers

### Stichera for "Lord I Have Cried"

29. Today the Master of Creation - Sticheron. Idiomelon. Tone 5 .....	67
30. See How the Lawless Synagogue - Sticheron. Idiomelon. Tone 2 .....	72



31. A Dread and Marvelous Mystery We See - Sticheron. Idiomelon. Tone 5 .....	77
32. A Dread and Marvelous Mystery We See - Sticheron. Idiomelon. Tone 5 .....	82
33. A Dread and Marvelous Mystery We See - Sticheron .....	86
34. They Divided Up My Garments - Prokeimenon of the Prophecy. Tone 4 .....	90
35. Judge Them, O Lord, That Wrong Me - Prokeimenon of the Prophecy. Tone 4 .....	92
36. They Laid Me in the Lowest Pit - Prokeimenon of the Prophecy. Tone 6 .....	94
37. Alleluia - Tone 1 .....	96
<b>Stichera for the Aposticha, Prosomoia</b>	
38. Down from the Tree Joseph - Sticheron. "Chreli" (Ornamented version). Tone 2 .....	98
The Lord Is King - Verse 1 .....	101
39. When You, the Redeemer of All - Sticheron. "Chreli" (Ornamented version). Tone 2 .....	102
The World Also is Stablished - Verse 2 .....	105
40. In the Flesh You Were - Sticheron. "Chreli" (Ornamented version). Tone 2 .....	106
Holiness Becometh Thine House, O Lord - Verse 2 .....	109
41. The Powers of Heaven Beheld You - Sticheron. "Chreli" (Ornamented version). Tone 2 .....	110
Glory; Now and Ever - Tone 2 .....	113
42. O Christ, You Who Clothed Yourself with Light - Sticheron. Tone 2 .....	114
43. O Christ, You Who Clothed Yourself with Light - Sticheron .....	120
44. The Noble Joseph - Troparion. Tone 2 .....	125
45. The Noble Joseph - Troparion. Tone 2 .....	127
46. The Angel Stood by the Tomb - Troparion. Tone 2 .....	129
47. The Angel Stood by the Tomb - Troparion. Tone 2 .....	131

## At Holy and Great Friday

### Small Compline

#### The Lamentation of the Most Holy Theotokos

##### Canon of the Crucifixion of Our Lord - Tone 6

48. He Who in Ancient Times - Heirmos. Canticle 1 .....	135
49. He Who in Ancient Times - Heirmos. Canticle 1 .....	137
50. Glory to You, Our God - Refrain. Tone 6 .....	139
51. Glory to You, Our God - Refrain .....	139
52. Willing to Give Your Life for Your Creation - The 1st troparion of Canticle 1 .....	140
53. Having Inclined Your Divine Neck - The 2nd troparion of Canticle 1 .....	142
54. Most Swiftly and Secretly Did Your Mother Approach - The 3rd troparion of Canticle 1 .....	144
55. Glory - Tone 6 .....	145
56. Be Gracious, O Joseph - The 4th troparion of Canticle 1 .....	146
57. Now and Ever - Tone 6 .....	147
58. Come Before Pilate - The 5th troparion of Canticle 1 .....	148
59. When the Creation Beheld You - Heirmos. Canticle 3 .....	150
60. No One Dares to Petition - The 1st troparion of Canticle 3 .....	152
61. First, Peter Denied Him - The 2nd troparion of Canticle 3 .....	154
62. O My Christ, As Joseph Saw Your Mother - The 3rd troparion of Canticle 3 .....	156
63. Giving Assent to the Pleading - The 4th troparion of Canticle 3 .....	158
64. Seeing Your Divine Emptying - Heirmos. Canticle 4 .....	160
65a. Embracing You, the Blameless Mother - The 1st troparion of Canticle 4 .....	162
65b. Embracing You, the Blameless Mother - The 1st troparion of Canticle 4 .....	164



66. Embracing Also Your Knees - The 2nd troparion of Canticle 4 .....	166
67. The Birthgiver Cried Out - The 3rd troparion of Canticle 4 .....	168
68. The Persian Kings, O Master, Offered You Gifts - The 4th troparion of Canticle 4 .....	170
69. I Seek You Early in the Morning - Heirmos. Canticle 5 .....	172
70. I Cannot Bear to See You - The 1st troparion of Canticle 5 .....	174
71. How Do I Endure, O Child - The 2nd troparion of Canticle 5 .....	175
72. I Shall Rather Come with You - The 3rd troparion of Canticle 5 .....	176
73. Jonah Was Enclosed But Not Held Fast - Heirmos. Canticle 6. Tone 6 .....	178
74. How Did You, O Peter, Deny the Savior - The 1st troparion of Canticle 6 .....	181
75. O Word, The Pure and Undeified Lady Called Together - The 2nd troparion of Canticle 6 .....	183
76. Give Me a Word - The 3rd troparion of Canticle 6 .....	186
77. Come, All You Heavenly Powers - The 4th troparion of Canticle 6 .....	188
78. Ineffable Wonder - Heirmos. Canticle 7 .....	191
79. Ineffable Wonder - Heirmos. Canticle 7 .....	193
80. The Hosts of Angels, Gazing from the Heavens - The 1st troparion of Canticle 7 .....	195
81. All the Ranks of Angels Above and Below - The 2nd troparion of Canticle 7 .....	197
82. To the Mystical Herald of Your Nativity - The 3rd troparion of Canticle 7 .....	199
83. O Christ, Who Shall Lament - The 4th troparion of Canticle 7 .....	201
84. Be Astonished, Heavens - Heirmos. Canticle 8 .....	203
85. Be Astonished, Heavens - Heirmos. Canticle 8 .....	205
86. Seeing You Naked, Hanging on the Cross - The 1st troparion of Canticle 8 .....	207
87. Be Astonished, O Heaven and Earth - The 2nd troparion of Canticle 8 .....	209
88. O My Son and God - The 3rd troparion of Canticle 8 .....	211
89. The Pure One Cried - The 4th troparion of Canticle 8 .....	213
90. Do Not Lament Me, Mother - Heirmos. Canticle 9 .....	215
91. Do Not Lament Me, Mother - Heirmos. Canticle 9 .....	218
92a. Do Not Lament Me, Mother - Heirmos. Canticle 9. "Chreli" (Ornamented version) .....	221
92b. Do Not Lament Me, Mother - Heirmos. Canticle 9. "Chreli" (Ornamented version) .....	226
93a. Do Not Lament Me, Mother - Heirmos. Canticle 9 .....	231
93b. Do Not Lament Me, Mother - Heirmos. Canticle 9 .....	237
94a. Do Not Lament Me, Mother - Heirmos. Canticle 9 .....	239
94b. Do Not Lament Me, Mother - Heirmos. Canticle 9 .....	246
95. Instead of Swaddling Bands, O My Son - The 1st troparion of Canticle 9 .....	253
96. Do Not Lament Me As One Dead, O Mother - The 2nd troparion of Canticle 9 .....	256
97. Depart, O Child, into Hades - The 3rd troparion of Canticle 9 .....	259
98. O Most Blessed Mother - The 4th troparion of Canticle 9 .....	262

## Addendum

### Psalm Verses

99. Tone 5 .....	267
100. Tone 5 .....	271
101. Tone 6 .....	273
102. Tone 6 .....	276
103. Tone 2 .....	277
104. Tone 2 .....	278
105. Tone 2 .....	279
106. Tone 2 .....	280



107. Tone 2 .....	281
108. Tone 2 .....	282
109. Tone 7 .....	283
110. Tone 7 .....	285
111. Tone 7 .....	287
112. Tone 5 .....	288
113. Tone 5 .....	289
114. Tone 7 .....	290
115. Tone 7 .....	292
116. Tone 7 .....	294
117. Tone 8 .....	295
118. Tone 8 .....	297
119. Tone 5 .....	298
120. Tone 5 .....	299
121. Tone 3 .....	300
122. Tone 6 .....	305
123. Tone 6 .....	307
124. Tone 6 .....	309
125. Tone 6 .....	311
126. Tone 6 .....	313
127. Tone 8 .....	314
128. Tone 8 .....	316
129. Tone 8 .....	318
130. Tone 6 .....	319
131. Tone 6 .....	321
132. Tone 6 .....	323
133. Tone 8 .....	324
134. Tone 8 .....	326
135. Tone 6 .....	327
136. Tone 6 .....	329
137. Tone 6 .....	330
138. When He Saw the Virgin Mourning - Sticheron. Tone 8 .....	332
139. The Savior Again Said to Her - Sticheron. Tone 8 .....	335
140. Do Not Show the Radiance of My Passion as Something Bitter - Sticheron. Tone 8 .....	339
141. Come, and Let Us Sing the Praises of Him Who Was Crucified - Kontakion. Tone 8 .....	343
142. Seeing Her Own Lamb Led to the Slaughter - Ikos. Tone 8 .....	345



საპარტვილოს ფოლკლორის  
სახელმწიფო ცენტრი  
THE FOLKLORE STATE CENTRE  
OF GEORGIA



საქართველოს  
პულგურის, სკოლისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო



ქართული  
ფოლკლორის  
ცენტრი